საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 123 (2039) | სამშაბათი, 19 სექტემბერი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

ონის სინაგოგის საუკუნოვანი იუბილე

17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ესტუმრა ქალაქ ონს, სადაც აღინიშნა ადგილობრივი სინაგოგის 100 წლის იუბილე.

ონის მოსახლეობამ გულთბილად მიიღო სახელმწიფოს მეთაური. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა იმპროვიზებული სანახაობანი.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაური ეწვია ონის სინაგოგას, რომლის ეზოში თავი მოიყარა ადგილობრივმა მოსახლეობამ, თბილისიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ამ დღის აღსანიშნავად ჩამოსულმა სტუმრებმა.

აქ გამოსულებმა ილაპარაკეს ორი ერის მრავალსაუკუნოვან კავშირებზე. ითქვა, რომ ქართველების და ებრაელების ურთიერთდამოკიდებულება უნიკალური მოვლენა გახლავთ მსოფლიოს ხალხთა მეგობრობის ისტორიაში.

სინაგოგაში შესრულდა რელიგიური რიტუალი. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აანთო მენორას მეშვიდე სანთელი, იმ მიწისა და იმ ხალხის სადიდებლად, რომელთა შორისაც 26 საუკუნეა ცხოვრობს ქართველი ებრაელობა.

იმავე დღეს, ქუთაისში სახელმწიფოს მეთაური ეწვია საავტომობილო ქარხანას, დაესწრო დავით აღმაშენებლის ძეგლის დამზადების პროცესს.

გვიან ღამით ბატონი ედუარდ შევარდნაძე თბილისს დაბრუნდა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი, — საქინფორმი.

ედუარდ შევარდნაძე: „მივმართავ ყველა მოქალაქეს—ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ლარი გახდეს ერთადერთი საგადამხდელო საშუალება...“

ედუარდ შევარდნაძის 18 სექტემბრის რადიოინტერვიუ

თავისი ტრადიციული რადიოინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ჩერნომირდინის საქართველოში ვიზიტის შედეგების ანალიზით დაიწყო. ინტერვიუს უძღვებოდა ჟურნალისტი **ნატო ონიანი**.

— საქართველოსა და რუსეთს შორის ახალ ურთიერთობას საფუძველი 1994 წლის 3 თებერვალს ჩაეყარა, რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის საქართველოში ვიზიტის დროს. მაშინ, სხვასთან ერთად, ხელი მოვაწერეთ მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას. ამით ორი ქვეყნის ურთიერთობის სამართლებრივი ბაზა შეიქმნა. ბატონი ელცინის ვიზიტის შემდეგ გარკვეულმა დრომ განვლო. და საჭირო გახდა ორი ქვეყნის კავშირურთიერთობათა განვითარების ახალი ეტაპის დაწყება, უფრო პრაქტიკული, პრაგმატული მიდგომა იმ საკითხებისადმი, რომელთა შესახებაც ჩვენ გლობალურ შეთანხმებებს მივაღწიეთ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ჩერნომირდინის ვიზიტი, რაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სწორედ როგორც რუსეთისა და საქართველოს შორის ახალი ურთიერთობის მშენებლობის ახალი ეტაპი.

საქართველოსა და რუსეთის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობაზე ბევრი ილაპარაკა ბატონმა ელცინმა და ბატონმა ჩერნომირდინმაც, თავის ოფიციალურ გამოსვლებშიც და ჩემთან შეხვედრების დროსაც, ასევე ხაზი გაუსვა ამ დებულებას, როგორც საარსებო მნიშვნელობის მოვლენას.

მოლაპარაკების დროს განვიხილეთ ორი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო, ტექნიკურ და კულტურულ კავშირურთიერთობათა მდგომარეობა და პერსპექტივა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო პირისპირ შეხვედრა, რომელიც თითქმის სამ საათს გაგრძელდა. სხვა პრობლემებთან ერთად, რა თქმა უნდა, შევეხეთ კავკასიის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების საკითხებს და, უწინარესად, ვისაუბრეთ აფხაზეთისა და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარების შესახებ. ვსაუბრობდით სრული ურთიერთგაგების პირობებში. შევთანხმდით, რომ დადგა აღნიშნული კონფლიქტების საბოლოოდ მოგვარების დრო. მართალია, ყველა ჩვენგანი განიცდის ამას და ნერვიულობს, რომ პრობლემის მოგვარება გვიანდება, მაგრამ ფაქტია: ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მაინც მივდიოდით და მოვედით იქამდე, როცა უკვე საბოლოო მოწესრიგებაზე უნდა ვილაპარაკოთ.

ბატონმა ვიქტორ ჩერნომირდინმა კვლავ დაადასტურა რუსეთის კარგად ცნობილი პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრული მხარდაჭერის შესახებ. ითქვა ისიც, რომ დაუშვებელია, და რუსეთი არ დაუშვებს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ყოველ ღონეს იხმარს, გამოიყენებს ყოველივე იმას, რაც კი გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლითა და ხელშეკრულებებით, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ერთიანობა შენარჩუნებულ იქნეს. მან თქვა ისიც, რომ რუსეთის ხელმძღვანელობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უმოკლეს ვადებში განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი კონფლიქტების მოსაგვარებლად იმ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც არაერთხელ აღნიშნულა როგორც უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებში, ასევე, და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უმაღლესი დონის შეხვედრებზე ალმათში, მინსკში და ასე შემდეგ. მან დაადასტურა ისიც, რომ ამიერიდან უფრო კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებაა საჭირო ამ შეთანხმებათა რეალიზაციისათვის.

საერთოდ, დიდ ინტერესს იწვევს, და აქედან გამომდინარე, ბევრი სხვადასხვა ვერსია არსებობს ნავთობსადენთან დაკავშირებით. ბატონმა ჩერნომირდინმა გამოხატა რუსეთის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და აღნიშნა, თუ რა მიმართულებით მოხდება ადრეული ნავთობის ექსპორტი და, საერთოდ, ნავთობის ექსპორტი, კონსორციუმის გადასაწყვეტია. რუსეთი გაგებით მოეკიდება კონსორციუმის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, უწინარესად, იმას, რაც ფინანსურ პროგრამებს ემყარება. არ არის გამორიცხული, რომ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ერთდროულად რუსეთისა და საქართველოს ტერიტორიების გავლით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ. ასე რომ, ეს პრობლემა კიდევ და კიდევ მსჯელობის საგანი იქნება.

ძალიან სერიოზული საუბარი გაიმართა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ. მე აღარ გავიმეორებ, რომ ეს ურთულესი საკითხია ყველა მოქალაქისათვის. მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობის, კერძოდ, კი, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის, ერთმანეთის ინტერესების, მათი ბალანსის გათვალისწინებით, და ჩვენი გლობალური ინტერესებიდან გამომდინარე, დავთანხმდით ხელი მოგვეწერა სამხედრო ბაზების შესახებ ხელშეკრულებაზე. თუმცა, დოკუმენტის ძალაში შესვლისათვის საჭიროა მისი რატიფიცირება პარლამენტის მიერ. რუსეთმა თავის მხრივ, იკისრა ვალდებულება (ეს ხელმოწერილ დოკუმენტებში ჩაწერილია), რომ: ჯერ ერთი, — გააგრძელებს საკმაოდ წარმატებით დაწყებულ დახმარებას საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში და, მეორეც, — გაგვიწევს აქტიურ თანადგომას ეკონომიკის სწრაფი რეაბილიტაციის საქმეში.

ზოგიერთის აზრით, ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი არ არის და ამისათვის ასეთ დათმობაზე წასვლა არ ღირდა. გასათვალისწინებელია, რომ ეს საერთო პრობლემის ერთი შემადგენელი ნაწილია. როცა მე ეკონომიკაზე და სხვადასხვა ქვეყანასთან, განსაკუთრებით რუსეთთან ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს, რომ ეს საარსებო, ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენის საკითხია.

ამას გარდა: ჩვენ მივიღეთ საკმაოდ სერიოზული დარწმუნება და პირობა იმისა, რომ ამ დოკუმენტებზე ხელმოწერა დააჩქარებს ორივე კონფლიქტის — აფხაზეთისა და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარებას. ვფიქრობ, ეს ცოტა ხანში ნათელი გახდება.

რუსეთი გვპირდება, რომ 1995 წლის ბოლომდე (უფრო სწორად, ნოემბრის შუა რიცხვებამდე) იგი ძირითადად თავისი ძალებით აღადგენს 500-კილოვატიან ელექტროგადამცემ ხაზს — „კავკასიონს“, ვითანამშრომლებთ თბილსრესის აღდგენის და ენერგეტიკასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების მოწესრიგების საკითხებშიც (იგულისხმება „როსენერგოსთან“ დადებული ხელშეკრულება). ჩვენი ძალებით ამის გაკეთება არ შეგვიძლია, თუნდაც იმიტომ, რომ 25 კილომეტრი მაღალი ძაბვის ხაზები და მავთულები ჩამოხსნილი, მოპარული, გაყიდული და გაჩანაგებულია.

რუსეთი 1995 წლის ბოლომდე საქართველოს გამოუყოფს 200 ათასი ტონა ხორბლის კვოტას, რომლის სანაცვლოდ მივაწვდით ღვინომასალებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. ქართული პროდუქციის სანაცვლოდ, რუსეთი მოგვაწვდის 500 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს და 20 ათას ტონა თხევად გაზს, რომელიც ჩვენი გაჩერებული საწარმოების ამუშავებას მოხმარდება და ძალიან დიდ შეღავათს მისცემს ჩვენს მოსახლეობას.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში გვალვის შედეგად, შექმნილი პრობლემების დაძლევის მიზნით რუსეთი ჩვენს ქვეყანას ჰუმანური დახმარების სახით სათესლე მარცვალს გამოუყოფს. რუსეთის მთავრობა თავის საწარმოებს გამოუყოფს მოკლევადიან კრედიტს 80 მილიარდი მანეთის ოდენობით, რათა მათ შეისყიდონ წლევანდელი ყურძნის მოსავალი. ამით, პრაქტიკულად, ქართული ვაზის გადარჩენის საკითხი გადაწყდება. მუშავდება მექანიზმი, რა გზებით და რა საშუალებებით შევიდეს ქართული ღვინო, ღვინომასალები და სხვა პროდუქცია რუსეთის ბაზარზე. ესე იგი, რუსეთი დააფინანსებს შესყიდვას, შემდეგ კი მოხდება მისი რეალიზაცია. ყოველივე ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ვაზის გადასარჩენად.

მიღწეულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეთანხმება — საქართველოს სატრანსპორტო კომპლექსის, უწინარესად, რკინიგზის რეაბილიტაციაში რუსეთის აქტიური დახმარების შესახებ, რაც გულისხმობს სარკინიგზო ხაზის რეკონსტრუქციას, მოძრავი შემადგენლობის განახლებას და, რაც მთავარია, რუსეთის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ფარგლებში მოხდება და პირველ ეტაპზე კომუნიკაციების უსაფრთხოებას რუსეთის მხარე იკისრებს. ლაპარაკია ვესიოლოედან სადგურ ინგირამდე (ხმები გავრცელდა სამტრედიამდეო, არავითარი ამის მსგავსი არ არის), სწორედ ამ მონაკვეთზე, სადაც დღეს ჩვენ არ შეგვიძლია სტაბილურობისა და უსაფრთხოების დაცვა, თუნდაც აქ ყველა მოქალაქე დაბრუნდეს. ამ მონაკვეთზე, დროებითი ღონისძიების სახით, რუსეთი უზრუნველყოფს უსაფრთხოებას.

ერთი სიტყვით, რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტის დროს თვალნათლივ გამოიკვეთა საქართველოსა და რუსეთის თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები. ერთხელ კიდევ ვიმეორებ: საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობა და ამ საქმეში რუსეთის აქტიური მონაწილეობა; სათბობ-ენერგეტიკულ, ტრანსპორტისა და სასურსათო უზრუნველყოფის სფეროებში ჩვენი თანამშრომლობა, რუსეთის თანადგომა და დახმარება; და, რაც მთავარია, კონფლიქტების მოგვარებისა და მოწესრიგების საქმეში რუსეთის როლის გააქტიურება პრაქტიკულად, მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით.

— გასულ კვირას გაიმართა თათბირი, რომელზეც გა-

(დასასრული მე-2 გვ.)

ჟამი დიდი არჩევნისა

მარათონის სტარტზე

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მზადება ის-ესაა დაიწყო. ჯერჯერობით დაბეჯითებით რაიმის მტკიცება ნაადრევია, თუმცა, პრეზიდენტობის კანდიდატურების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ბევრს გასჩენია ქვეყნის ხელმძღვანელობის სურვილი.

მანამდე კი პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, საწარმოებში თუ სხვა გაერთიანებებში ამა თუ იმ კანდიდატის მხარდასაჭერად წინასაარჩევნო შეკრებები ეწყობა.

1995 წლის 13 სექტემბერს, გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის დეპარტამენტის სამეცნიერო და საწარმოო სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელთა კრება, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებს მიეძღვნა. გეოლოგებმა 1995 წლის 5 ნოემბრის პრეზიდენტის არჩევნებში ბატონ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურას დაუჭირეს მხარი.

ამავე დღეს თბილისის საბურთალოს რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმმა გაფართოებულ სხდომაზე რესპუბლიკის პრეზიდენტად ბატონ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურას მისცა ხმა.

ბიზნესის, წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ხელშემწყობი ლიგის

განცხადება

დღეს, როდესაც საქართველო სახელმწიფოებრივი მშენებლობის და ეკონომიკური განვითარების გზაზეა, მას სჭირდება ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება და პრეზიდენტი, რომელიც იქნება ერთიანი, დამოუკიდებელი ძლიერი სახელმწიფოს შექმნის გარანტი. ბატონ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურა სწორედ ასეთი პრეზიდენტის არჩევას გვპირდება.

„ბიზნესის, წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ხელშემწყობი ლიგა“ მხარს უჭერს ბატონ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურის საპრეზიდენტო არჩევნებში წარსადგენად და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სწორედ ის იქნება არჩეული პრეზიდენტად, როგორც ყველაზე ღირსეული კანდიდატი.

გ. ჟორჟოლიანი,
„ლიგის“ პრეზიდენტი, პარლამენტის წევრი;
ლ. ცერცვაძე,
აღმასრულებელი მდივანი;
მეურვეთა საბჭოს წევრები:
ბ. ახრახაძე,
კონცერნ „გულანის“ პრეზიდენტი;
გ. გამყრელიძე;
ჰოლდინგი მონტაჟსპეცმშენის პრეზიდენტი;
ჯ. გონაშვილი,
გაერთიანებული ქართული ბანკის მთაწმინდის ფილიალის მმართველი;
დ. დათოშვილი,
სააქციო საზოგადოება „დვრიტას“ გენერალური დირექტორი;
გ. მინდელი,
ინსტიტუტ „მეტსის“ დირექტორი;
ი. მოსაშვილი,
ფირმა „მორიონ-ტრეიდინგის“ პრეზიდენტი;
ვ. მურვანიძე,
ფირმა „ესპადას“ პრეზიდენტი;
ვ. რამიშვილი,
იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
თ. ცინცაძე,
სააქციო საზოგადოება „ოქსიონის“ მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარე.

თათბირი

ფულის რეფორმა

საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონისათვის უკანასკნელი დღეები იწურება. 1995 წლის 25 სექტემბრიდან საქართველოში მიმოქცევაში შემოდის ეროვნული ვალუტა — ლარი, რომელიც ერთადერთი და სავალდებულო საგადამხდელო საშუალება უნდა გახდეს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. ამის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია 16 სექტემბერს თბილისში გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე, რომელზეც განიხილეს ქვეყანაში მოსალოდნელ ფულის რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები. თათბირზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა, საფინანსო და საბანკო დაწესებულებათა, სამართალდამცავ ორგანოთა ხელმძღვანელები, აგრეთვე საქალაქო, რაიონულ და სამხარეო ადმინისტრაციათა მეთაურები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ფულის რეფორმის გატარების ადგილობრივ და რეგიონალურ კომისიებს, მეცნიერები და სპეციალისტები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა ედუარდ შევარდნაძემ.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის სიტყვას ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

თათბირზე ქვეყანაში ფულის რეფორმის ორგანიზებული განხორციელების უზრუნველყოფის შესახებ თავიანთი აზრები და მოსაზრებანი, კონკრეტული წინადადებანი გამოთქვეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილემ თემურ ბასილიამ, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებმა დავით იაკობიძემ და ლადო პაპავამ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა, ქალაქ თბილისის მერმა ნიკო ლეკიშვილმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ფაღავამ, სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულმა იმერეთის მხარეში თემურ შაშიაშვილმა, მხატვარმა ნოდარ მალაზონიამ, გაერთიანებული ქართული ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრმა ვანო ჩხარტიშვილმა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა. ყველა ორატორმა საფუძვლიანად და ყოველმხრივ გააანალიზა ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობა და ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის, როგორც სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტის შემოღებას, ახალი ფულადი ერთეულის, როგორც ერთადერთი და სავალდებულო საგადამხდელო საშუალების, დამკვიდრების მექანიზმის უზრუნველყოფას.

თათბირზე გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებათა პროექტები მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის — ლარის შემოღებისა და მიმოქცევაში ეროვნული ფულადი ერთეულის — ლარის დამკვიდრების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი.

თათბირის შედეგების შეჯამებისას ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ რესპუბლიკის მოსახლეობას, თითოეულ მოქალაქეს ოპერატიულად აუხსნათ, მომავალი ფულის რეფორმის შინაარსი, რაშიც განსაკუთრებული როლი განეკუთვნებათ, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, ტელევიზიასა და რადიოს, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებას, რომლებმაც აქტიურად უნდა მოიზიდონ რეფორმის ორგანიზატორები და თვალსაჩინო სპეციალისტები, რათა გეგმაზომიერად, გასაგები ფორმით განმარტონ მიმდინარე კამპანიის აზრი, რომლის წარმატებაზეც დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის მომავალი.

საქინფორმი.

ქართული სახელმწიფო - 1000

ქუთაისი ემზადება

17 სექტემბერს პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქად ქუთაისის გამოცხადების 1000 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებების საორგანიზაციო საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირი. თათბირს ესწრებოდნენ სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე და საორგანიზაციო კომისიის წევრები.

სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულმა იმერეთის რეგიონში, ქუთაისის მერმა თემურ შაშიაშვილმა ილაპარაკა დღესასწაულთან დაკავშირებით განხორციელებული სამუშაოების შესახებ. აღნიშნა, რომ სამუშაოების ხარისხიან შესრულებას ხელი შეუწყო სახელმწიფოს მეთაურის მიერ გამოცემულმა ბრძანებულებებმა ეკონომიკური საკითხების შესახებ. მან დამსწრეთ გააცნო სადღესასწაულო ღონისძიებების პროგრამა.

თათბირზე შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციების უფლებათა გაზრდამ საშუალება მისცა საორგანიზაციო კომისიას რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დამოუკიდებლად უზრუნველეყო ძირითადი სამუშაოების სათანადო დონეზე შესრულება. მან ხაზგასმით აღნიშნა დღესასწაულის მნიშვნელობა და თქვა, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა ისტორიული მეხსიერება მუშაობს დღევანდელ და მომავალ საქართველოზე.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

ფარდა აეხადა

ხაჩიშვილი, გელაშვილი და სხვები

რომელთაგან ზოგიერთის გვარი წუხელ საქართველოს ტელევიზიის პროგრამა „აუდიენციაში“ დაასახელეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა კვირაიამ და გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა, იყვნენ საქართველოში განხორციელებული შემზარავი ტერორისტული აქტების ორგანიზატორები და შემსრულებლები.

უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი თემურ ხაჩიშვილი, მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე გოგა გელაშვილი! ვის უშიშროებას უზრუნველყოფდნენ, ვის საშველად იყვნენ მოწოდებულნი? ჩვენი — არა. საქართველოსი — არა. მალე გავიგებთ — ვისიც.

ვის ხელში ვიყავით და რა დღე ელოდა საწყალ საქართველოს!

მადლობა ბატონებს შოთა კვირაიას, ჯამლეთ ბაბილაშვილს, კახა თარგამაძეს, ყველას, ვინც უპრეცენდენტო ოპერატიულობით გახსნა ეს ტერორისტული საქმეები და, ჩანს, სხვა დანაშაულობათა „ავტორებსაც“ მალე გაგვაცნობენ, სხვათა გვარებსაც, რომლებიც ქვეტექსტში იგულისხმებოდა, საჯაროდ დაასახელებენ.

ბოლო პერიოდში განცხადებული ფორმულა, რომ კრიმინალების დრო დამთავრდა, დამთავრდა ყაჩაღების დრო — რეალობად იქცა.

იწყება კანონის დიქტატურის, სამართლის ბატონობის დრო.

დიპლომატიური ქრონიკა

გადაეცა რწმუნებათა სიგელები

გუშინ საქართველოს პარლამენტის მიღებათა დარბაზში ავსტრალიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ჰებრო ბენტლმა ელჩის უფლება-მოვალეობის დამადასტურებელი რწმუნებათა სიგელები გადასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს.

რწმუნებათა სიგელების გადაცემის ცერემონიის შემდეგ გამართულ შეხვედრაზე ბატონმა ჰებრო ბენტლმა სახელმწიფოს მეთაურს ავსტრალიის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის გულთბილი მოკითხვები გადასცა.

სახელმწიფოს მეთაური მიესალმა ბატონ ჰებრი ბენტლის საქართველოში ელჩად დანიშვნას. მან მადლობა გადაუხადა ავსტრალიის მთავრობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მხარდაჭერისათვის. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა რწმენა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ორივე სახელმწიფოს მთავრობების ძალისხმევით საქმიანი და მეგობრული კონტაქტები უსათუოდ განხორციელდება.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ილაპარაკა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების შესახებ. მან თქვა, რომ დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ქვეყანა სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა, იგი ვერ ასცდა ვერც სამოქალაქო ომს, ვერც კონფლიქტებს, ერთი წელიწადია, რაც ქვეყანაში ნორმალური ცხოვრება დაიწყო. მიღებულია ქვეყნის ძირითადი კანონი, შემოდგომაზე გაიმართება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები.

სახელმწიფოს მეთაურმა თანამშრომლობის კონკრეტული გეგმები დასახა, კერძოდ, შესაძლებელია შეიქმნას ერთობლივი საწარმო მატყლის დამუშავებისა და წარმოებისათვის. პასუხად ბატონმა ელჩმა განაცხადა, რომ იგი სამშობლოში დაბრუნებისთანავე მიაწვდის საჭირო ინფორმაციას ავსტრალიის საქმიან წრეებს და დააინტერესებს მათ.

ეკლესია

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში

გუშინ მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში გაიხსნა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კრება. მის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს ეკლესიის ყველა ეპარქიის წარმომადგენლები, ასევე საერო პირები. აღსანიშნავია, რომ ბოლო კრება გაიმართა 1977 წლის 25 დეკემბერს, რომელზეც მოხდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრება.

საეკლესიო კრება დაამტკიცებს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ახალი დებულების პროექტს. სხვათა შორის, ბოლო საეკლესიო დებულება მიღებული იყო ორმოცდაათი წლის წინათ და, ბუნებრივია, დროს მასში ცვლილებების შეტანა აუცილებელი გახდა.

კრებაზე მოხდება საქართველოს ეკლესიის ახალი წმინდანების კანონიზირება. ჩვენი სულიერი მამები განიხილავენ საქართველოს ეკლესიის საგარეო ურთიერთობასა და სამონაო ცხოვრებას, სასულიერო სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, მისი გაუმჯობესების გზებს, საპატრიარქოს მისიონერულ მოღვაწეობას.

საეკლესიო კრება მუშაობას დღეს დაასრულებს.

საქინფორმი.

ედუარდ შევარდნაძე: „მივმართავ ყველა მოქალაქეს–ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ლარი გახდეს ერთადერთი საგადამხდელო საშუალება...“

(დასასრული)

კეთდა განცხადება, რომ 25 სექტემბრიდან მიმოქცევაში შემოდის ახალი ეროვნული ვალუტა...

— ახალი ეროვნული ვალუტის შემოღება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე რეფორმა. რეფორმა შეიძლება ეწოდოს, როცა, ვთქვათ, სახელმწიფოს აქვს თავისი ვალუტა და ამასთან დაკავშირებით მას სჭირდება კურსის შეცვლა და ახალი ნომინალების შემოღება, ან სხვა რამ. ჩვენთან კი ხდება ახალი ეროვნული ვალუტის შემოღება, რაც, მართლაც, ისტორიული მოვლენაა. მე ამაზე ბევრი ვილაპარაკე რესპუბლიკურ თათბირზე (ეს გამოსვლა ტელევიზიით გადაიცა). იქნებ, კიდევ საჭირო იყოს გამეორება, რადგან იქ ჩამოყალიბდა კონკრეტული პროგრამა ეროვნული ვალუტის შემოღების პროცესთან დაკავშირებით. სწორედ ამ თათბირზე განისაზღვრა ძირითადი პრინციპები, ვადები, რეალიზაციის მექანიზმი და ამ საკითხებისადმი მიდგომის ამოცანები და გზები. მხედველობაში მაქვს როგორც ცენტრალური დაწესებულებები, ასევე რაიონული, საქალაქო და ხელისუფლების ძირეული რგოლები.

ფულის რეფორმა ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ფინანსური გაჯანსაღების იმ პროგრამულ ღონისძიებათა შედეგია, რომლებიც შარშანდელი სექტემბრიდან საკმაოდ სერიოზული თანამიმდევრობით ხორციელდება ფასების მოწესრიგების, საბიუჯეტო რეფორმის, საბანკო სისტემის გარდაქმნის, კრედიტზე რეალური საპროცენტო განაკვეთების დაწესების, კუპონის საცვლელი კურსის გამყარების, ბანკების რეორგანიზაციის, აქციონირებისა და სხვადასხვა მიმართულებით. მყარი სრულფასოვანი ეროვნული ვალუტა, რომელიც 2 ოქტომბრიდან შემოდის ქვეყანაში და ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება იქნება, კუპონისაგან განსხვავებით შეიძენს ფულის ყველა ფუნქციას, მათ შორის, დაგროვების ფუნქციასაც, რაც რეფორმების ახალი ეტაპის დაწყების, ჯანსაღი ფინანსების ბაზაზე წარმოების ზრდის სტიმულირების საფუძველი გახდება. ძალზე მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ლარის შემოღება განპირობებულია ობიექტურად მომწიფებული ეკონომიკური ფაქტორებით და ამას არავითარი კავშირი არა აქვს არჩევნებთან.

მე ბევრი მირჩევდა, ახლა არ ღირს ამ გადაწყვეტილების მიღებაო, ჯობს დამთავრდეს არჩევნები, იქნებ რაიმე სიძნელეები შეიქმნაო, ამან ვიღაცას არჩევის შანსი დაუკარგოსო და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ... კიდევ ვიმეორებ: ძალზე მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ლარის შემოღება სწორედ ობიექტური ფაქტორებით არის განპირობებული.

ინფლაციის მინიმუმამდე დაყვანა, საგადასახადო სისტემის გაძლიერება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბება, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ შესაბამისი სარეზერვო კრედიტების მოწოდება გვავალდებულებს აღარ დავკარგოთ დრო წარმოების ამოქმედების, ეკონომიკური აქტიურობის გამოცოცხლების მიმართულებით, მით უმეტეს, რომ რუსეთის ფედერაციასთან ხელმოწერილი ეს ბოლო ხელშეკრულებები, ისევე როგორც სხვა ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებები, ამის გაცილებით უკეთეს პირობებს ქმნის. ამასთანავე, კუპონი ვერავითარი ადმინისტრაციული მეთოდების დახმარებითაც კი ვერ გახდებოდა ერთადერთი საგადამხდელო საშუალება. გულახდილი თუ ვიქნებით, კუპონზე არავითარი საქონელი არ იყიდება, ნორმირებული პროდუქტებისა და სახელმწიფო კომუნალური, სატრანსპორტო მომსახურების გარდა.

ლარის შემოღებით კი ეროვნული ფულის მოქმედების არეალი ფართოვდება. სარეზერვო ვალუტა მისი კურსის მხარდამჭერად მოხმარდება. ეს გარანტირებულია. საგარეო ვაჭრობის განხორციელებისათვის არავის არავითარი დაბრკოლება არ ექნება ნებისმიერი რაოდენობის ლარის კონვერტაციის განხორციელებაში, საზღვარგარეთელ პარტნიორებთან ანგარიშსწორებაში. სახელმწიფოებრიობის ეს დიდმნიშვნელოვანი ატრიბუტი საქართველოში აუცილებლად დამკვიდრდება.

ლარის შემოღება საშუალებას გვაძლევს, მართალია არა რადიკალურად, მაგრამ ერთგვარად მაინც გავაუმჯობესოთ მოსახლეობის ცხოვრების დონე. უწინარეს ყოვლისა, ეს არის პირველი ნოემბრიდან ხელფასების ერთ-ნახევარჯერ გადიდება, განვლილ პერიოდში ყოფილი სახელმწიფო-კომერციული ბანკების მეანაბრეთა ანაბრების ინდექსირებისა და კომპენსირების თაობაზე მიღებული პრინციპული გადაწყვეტილება. თათბირზე განვაცხადე, რომ სახელმწიფო უარს ვერ იტყვის ვერც ერთ ეტაპზე ნაკისრ ვალდებულებებზე, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ხელისუფლების სათავეში, ვინ წავიდა და ვინ მოვიდა. მაგრამ ეს იქნება ეტაპობრივი გადაწყვეტილება. მოსახლეობას, საქართველოს მოქალაქეებს კარგად ესმით, რომ დღეს ამის გაკეთება წარმოუდგენელია, მაგრამ ეტაპობრივად სავსებით შესაძლებელია, ვთქვათ, გარკვეულ დროში — ხუთ ან სამ წელიწადში, ცოტა მეტში ან ნაკლებში — ამაზე ჩვენ ახლა ვმუშაობთ, ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ბანკი, მინისტრთა კაბინეტი ამ წინადადებებს წარმოადგენენ და მოსახლეობას უფრო დეტალურ ინფორმაციას მივაწვდით. მთავარია, იყოს რწმენა, რომ სახელმწიფო პასუხს აგებს მის მიერ მოქალაქეთა წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისათვის. თუ გახსოვთ, ჩვენ გადავწყვიტეთ ისეთი საკითხი, რომელიც, პრინციპში, ჩვენ არ უნდა გადაგვეწყვიტა: გაკოტრების შედეგად დარჩენილ მეანაბრეთა ბედი. როგორც იტყვიან, საკუთარი ტყავიდან გამოვძვერით და გამოვძებნეთ, შეიძლება არაიდეალური, მაგრამ მაინც გამოსავალი ამ ვითარებიდან. თუმცა სახელმწიფო არ იყო ვალდებული. მე იმის მომხრე ვარ, რომ სახელმწიფო ყველაფრისათვის აგებდეს პასუხს, რაც ქვეყანაში ხდება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფულის რეფორმა კონფისკაციური არ არის. ამის გამოცდილება ჩვენ ძველი დროიდან გვაქვს. მოსახლეობა სრულფასოვნად მიიღებს ახალი ფულის ნიშნებს. ხორციელდება სერიოზული ორგანიზაციული ღონისძიებანი, რათა ფულის გაცვლის პროცესში მოქალაქეთათვის არავითარი უხერხულობა არ შეიქმნას, არ შეფერხდეს ბიზნესმენებისა და მეწარმეების საქმიანობა. სამთავრობო სტრუქტურები, ადგილობრივი ორგანოები, საბანკო და საფინანსო დაწესებულებები, სპეციალურად ჩამოყალიბებული კომისიები ამ პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის პასუხისმგებელი არიან კანონისა და სახელმწიფოს მეთაურის წინაშე. ამავე დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ფულის გადაცვლისა და ლარის ერთადერთი საგადამხდელო საშუალებად დამკვიდრებისათვის მოსახლეობის მიერ მოქალაქეობრივი და პატრიოტული მიდგომის გამოვლინებას.

მივმართავ ყველა მოქალაქეს — ყველამ ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ლარი გახდეს ერთადერთი საგადამხდელო საშუალება, მხოლოდ ამით შევძლებთ შევქმნათ ამ ვალუტის განმტკიცებისა და იმის პირობები, რომ ლარი გახდეს სერიოზული ინსტრუმენტი ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლებისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის.

მე კიდევ მინდა დავადასტურო ის, რაც ვთქვი თათბირზე, — მიმოქცევაში ლარის შემოღებით არც მეწარმეები, არც ნებისმიერი მოქალაქე არაფერს კარგავს — პირიქით, იძენს. ლარი უზრუნველყოფილია კონვერტირებადი ვალუტით, რომლის რესურსებიც კვლავ და კვლავ შეივსება საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკთან ნაყოფიერი თანამშრომლობის გაგრძელებით და, რაც მთავარია, სრულფასოვანი ეროვნული ფულის ფუნქციონირების პირობებში გამოცოცხლებული წარმოების განვითარებით. ამიტომაც ვთქვი, რომ ეს ერთ-ერთი დიდი ეტაპია საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში.

ედუარდ შევარდნაძის 18 სექტემბრის რადიოინტერვიუ

— გასული კვირის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება — თქვენ ხელი მოაწერეთ ადგილობრივი თვითმმართველობის გაფართოების დებულებას. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ცხოვრებაში ეს საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა იყო...

— მართალი ბრძანდებით, ჩვენ ხშირად ვიყენებთ გამოთქმას „საეტაპო“. მართლაც ასეა, როცა იწყება ახალი ცხოვრება, ახალი სახელმწიფოს შექმნა, ხდება ისეთი მოვლენები, როგორიც არის, ვთქვათ, ეროვნული ვალუტის შემოღება, არმიის, პოლიციის შექმნა და სხვა მრავალი. ყველაფერი ეს საეტაპო მოვლენაა, მით უმეტეს, კონსტიტუციის მიღება, ახალი არჩევნები და თუნდაც ის, რომ ხვალ პარლამენტი განაახლებს მუშაობას, გარკვეული აზრით, ესეც საეტაპოა მას შემდეგ, რაც კონსტიტუცია მივიღეთ.

სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს. მათი ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში დაიწყოს აღმავლის პროცესი. ამასთანავე სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი მოითხოვს ამ პროცესის რეგულირების მექანიზმის მუდმივ კორექტირებას. სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სამართლებრივი ბაზა 1993 წლის 2 აგვისტოს შეიქმნა. ამ ბაზას წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის რაიონის, ქალაქის, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ დებულება, რომელიც სახელმწიფოს მეთაურმა დაამტკიცა. დებულებამ თავისი როლი შეასრულა განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ მთელი ეკონომიკისა და სხვა სფეროებისადმი ხელმძღვანელობა კონცენტრირებული იყო რაიონებსა და ქალაქებში. ამ დებულებით მიღებულმა მმართველობის უფლებამოსილებამაც გარკვეული როლი შეასრულა და გარკვეული სამსახური გაუწია ქვეყანას. დღეისათვის მიმაჩნია, რომ მართლაცდა ახალი ეტაპის წინაშე ვდგავართ. სამწუხაროდ, არ მოხერხდა და არც მოხერხდება უახლოეს თვეებში პარლამენტის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის მიღება. ამასთან, თავად ეკონომიკური რეფორმების დაწყებამ მართვის თვალსაზრისით ახალი პრობლემები წარმოშვა. ამ პრობლემების გადაწყვეტის რამდენიმე თვით გადაწევა-გადადება არ შეიძლება, დაუშვებელია. უნდა ვიმოქმედოთ დღესვე, სწორედ ამიტომ გახდა საჭირო გარკვეული კორექტივების შეტანა ადგილებზე სახელმწიფო მმართველობის განხორციელებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნებოდა საფრთხე, რომ სახელმწიფო მმართველობის უკვე მოპოვებული, უფრო სწორად, მოძველებული სისტემა, ეკონომიკური რეფორმების განხორციელების მუხრუჭად გადაიქცეოდა და ამასთან დაკავშირებით ბევრ სირთულეებს წავაწყდებოდით.

რეფორმათა განხორციელების აუცილებელი პირობაა, განვუმარტოთ და გავაცნოთ ისინი თითოეულ ინდივიდს, მმართველობის ყველაზე დაბალ რგოლებს. ამიტომ აუცილებელი გახდა დღემდე არსებული მართვის ცენტრალიზებული სისტემის ოპტიმალური დეკონცენტრაცია, ფუნქციათა გადანაწილება რაიონულსა და რაიონის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში მყოფ სოფლის, დაბის, თემის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შორის. ამ მიზნით მომზადდა დებულება „საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ“. ეს დებულება იმოქმედებს თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებამდე და მისი ძირითადი დანიშნულებაა, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას და, მეორე მხრივ, ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები მოუმზადოს თვითმმართველობის ორგანოებს, მკვეთრად გაუმჯობესდეს მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში ადგილობრივი ეშელონების მონაწილეობა. ეს დებულება დროებითი იქნება (თავისთავად სიტყვა „დროებითი“ არ მომწონს), თუმცა ეს უნდა მიიღონ ისე, როგორც კანონი, რომელსაც ჩვენი პარლამენტი მიიღებს. დარწმუნებული ვარ, ამ დოკუმენტის ძირითად დებულებებს გაიზიარებენ. დებულებით გაიმიჯნა კომპეტენციები რაიონული და მასში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შორის. შესაბამისად გადანაწილდა უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობაც. ყველა იმ საკითხის გადაწყვეტა, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მოსახლეობის მომსახურებასთან სოფლად, დაბებსა და ქალაქებში, გადაეცა მმართველობის ქვემდგომ ორგანოებს, ხოლო საკითხები, რომელიც ზოგადსახელმწიფო ინტერესებთან არის დაკავშირებული, აგრეთვე საკითხები, რომლებიც შეუძლებელია გადაწყვიტონ მმართველობის ქვემდგომმა ორგანოებმა, რჩება რაიონულ, საქალაქო და სამხარეო დონეზე, ყველა მათგანს აქვს შესაბამისი დებულებები და ამ დოკუმენტშიც გათვალისწინებულია შესაბამისი თავები.

ბიუჯეტების გამიჯვნა არა მარტო გაზრდის შესაბამისი მმართველობის ორგანოების მხრიდან შემოსავლის მიღებით დაინტერესებას, არამედ ამ შემოსავლის რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობასაც იძლევა. ამასთან, დებულების თანახმად პერსონალური პასუხისმგებლობა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის რეალური პროგნოზირებისა და ბიუჯეტის შესრულებისათვის შესაბამისი მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს ეკისრებათ. ესე იგი, ყველა დაბასა და ყველა თემს ექნება თავისი საკუთარი ბიუჯეტი. რა თქმა უნდა, ჩვენ ვგულისხმობთ იმასაც, რომ თუ არის ზოგიერთი განსაკუთრებული მთის სოფელი და მძიმე მდგომარეობაში მყოფი სოფლები, რომლებსაც ამის წყაროები არ გააჩნიათ, მაშინ პირველ ეტაპზე რესპუბლიკა ან რაიონი დაუფარავთ, მაგრამ, პრინციპში, ყველას უნდა ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

დებულებათა თანახმად გამგეობები ჩამოყალიბდება როგორც მმართველობის სრულფასოვანი კოლეგიური ორგანოები. თავის დროზე მართვის არსებული ფორმა გამართლებული იყო (მხედველობაში მაქვს წინა დებულება). დღეს ქვეყანა სრულიად ახალი მოთხოვნების წინაშე დგას, უნდა ამოძრავდეს და ამუშავდეს ხელისუფლების ყველა ეშელონი, განსაკუთრებით ძირეული და მათ მივცეთ ძალიან დიდი ეკონომიკური და ფინანსური სტიმულები, გაუჩნდეთ დიდი დაინტერესების წყარო.

„საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ“ დებულებაში დღემდე მოქმედი დებულებისაგან განსხვავებით მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო და ცალკე თავად არის ჩამოყალიბებული სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ეკონომიკური საფუძვლები. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება იმას, რაც ძალზე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტურია ეკონომიკურ ნაწილში, რომლითაც განისაზღვრა ადგილობრივი ორგანოების ფინანსურ-ეკონომიკური ბაზა, მუნიციპალური ქონების ცნება და მისი შექმნის წყაროები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ეკონომიკური კომპეტენცია. ამ გამიჯვნის, ამ ცნების გარეშე წარმოუდგენელია ლაპარაკიც კი საერთოდ რეფორმების გაგრძელებაზე.

ზემოთ აღნიშნული საკითხების მოწესრიგება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას. ამიტომ ერთ დონეზე ვაყენებთ გადაწყვეტილებას, რომელიც ლარის შემოღებასთან არის დაკავშირებული და შეიძლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყოს დებულება, რომელსაც გუშინ მოვაწერე ხელი. ამასთან დაკავშირებით საჭირო იქნება ადგილობრივი ხელმძღვანელების ცალკე შეკრება, ზონალური ინსტრუქტაჟის გამართვა, ხალხს უნდა ვასწავლოთ, რა არის ახალი უფლებები, ახალი მოვალეობა, როგორ გამოიყენონ ეს უფლებები. დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს ყოველივე ეს თითოეული მოქალაქის ინტერესების სასარგებლოდ წარიმართება.

— 29 აგვისტოს განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ გარკვეული დრო გავიდა, მაგრამ ეს ფაქტი მაინც დგას როგორც საზოგადოებრიობის, ისე პრესის ყურადღების ცენტრში. როდესაც მზადდება ტერორი სახელმწიფოს პირველი პირების მიმართ, ამის შესახებ არსებობს ხოლმე გარკვეული ინფორმაცია. ხომ არ არის რაიმე წინსვლა გამოძიებაში, არა მხოლოდ თქვენს წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის გამო, არამედ მხედველობაში მაქვს აგრეთვე ტერორისტული აქტები გია ჭანტურიას, სოლიკო ხაბეიშვილისა და სხვათა მიმართ...

— როგორც იტყვიან, ყოველდღიურად ვარ საქმის კურსში, ვიღებ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელმწიფოს მეთაურისათვის. დღეს შევხვდები შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ შოთა კვირაიას, გენერალურ პროკურორს ბატონ ჯამლეტ ბაბილაშვილს, ხვალ მექნება კონტაქტები უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელებთან. მათთან შეხვედრა, როგორც ცნობილია, ცალკე მქონდა, გაიმართა სერიოზული და პრინციპული საუბარი. ვფიქრობ, დღის ბოლოსათვის შეიძლება მოხერხდეს კიდეც, რომ ზოგიერთი რამ უაღრესად მნიშვნელოვანი და უაღრესად საინტერესო ცნობილი გახდეს საზოგადოებისათვის. რა თქმა უნდა, ისეთნაირად, რომ ძიების პროცესს ზიანი არ მიადგეს.

მთელი უბედურება ის არის, რომ, როგორც წინასწარი ინფორმაციიდან ირკვევა, 29 აგვისტო საკმაოდ კარგად და პროფესიულად მომზადებული ტერორისტული აქცია გახლდათ, რომელიც ოფიციალურ სტრუქტურებთან არის დაკავშირებული და შორს გამიზნული ავანტიურისტული გეგმების დასაწყისი იყო. ყველაფერი ეს ითქმება 29 აგვისტოზეც, ითქმება სხვა ტრაგიკულ ფაქტებზეც. არ მინდა ახლა მოვლენებს გავუსწრო, დაე, გაიმართოს ჩვენი დღევანდელი შეხვედრა, რომელიც ბევრ საკითხში შეიტანს სინათლეს.

— გუშინ თქვენ მონაწილეობდით ონის სინაგოგის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში. ეს დღე აღნიშნეს როგორც ებრაელებმა, ისე ქართველებმა, უცხოეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, მათ შორის ჩამოსულმა ქართველმა ებრაელებმა, კერძოდ, ონელმა ებრაელებმა, რომლებიც ახლა ისრაელში ცხოვრობენ. ძალიან მნიშვნელოვანი და თვალში საცემი იყო ის, რომ სინაგოგის ეზოში ერთად იდგნენ ქრისტიანებიც და ებრაელებიც. ეს ჩვენი სითბოს კიდევ ერთი გამოხატულება იყო...

— ალბათ, მოსახლეობას მიეცემა საშუალება თვალნათლივ ნახოს, რაც ხდებოდა გუშინ ონში, ამ შესანიშნავ, უბრწყინვალეს და ულამაზეს მხარეში, სადაც ძალიან ვაჟკაცური და მომთმენი ხალხი ცხოვრობს.

საერთოდ მინდა ვთქვა, რომ ქართველი ერი უმდიდრესი ტრადიციების მქონე ერია. ეს უზარმაზარი სიმდიდრე, რომელსაც ფასი არა აქვს, ჩვენი ხალხის უკვდავებისა და მისი აყვავების საწინდარი არის და იქნება, მე ამაში დარწმუნებული ვარ. ერთი წყება ამ ისტორიული ტრადიციების სხვა ხალხებთან ურთიერთობის გენიალური ნიჭი, თანაცხოვრების უნარი და ჩვენი ხალხის ტოლერანტობა გახლავთ. გუშინ ონის ებრაელთა თემის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და იქაური სინაგოგის ასწლოვანი იუბილე აღვნიშნეთ. ამ მოვლენაში მარტო სინაგოგის იუბილეს არ ვგულისხმობ, მე იქ ვთქვი, რომ გადმოცემით ებრაელები მე-4 საუკუნიდან არიან ონში, ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მე-16 საუკუნიდან, მართლაც მრავალსაუკუნოვანია. ამ მოვლენაში, როგორც ჭიქა წყალში მზის სხივი, ისე აირეკლა ქართველთა და ებრაელთა 26-საუკუნოვანი თანაცხოვრების განსაკუთრებული ფენომენი. ეს მოვლენა მართლაც ღირსია იმისა, რომ მსოფლიოს საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდეს ეს ფენომენი — სხვა ხალხებთან თანაცხოვრების, ჩვენი ტოლერანტობის უნარი. შემთხვევითი არ იყო, რომ ასეთ პრობლემებს მიეძღვნა ის ფორუმი, რომელიც თბილისში გაიმართა ამ ზაფხულს.

ჩვენს პლანეტაზე მომრავლებულ პოლიტიკურ თუ ეთნიკურ კონფლიქტებს, აგრესიულ სეპარატიზმს არა მარტო პირდაპირი ბრძოლით და სხვა საშუალებებით, არამედ კაცობრიობის, მათ შორის, ქართველების მიერ შემწყნარებლობის, მართლაცდა, განსაკუთრებული მაგალითების ფართო პოპულარიზაციის მეშვეობითაც უნდა ვებრძოლოთ. იმის პოპულარიზაცია, რაც კაცობრიობამ დააგროვა, მათ შორის ქართველმა ხალხმა, ტოლერანტობის თვალსაზრისით, ერთა, ხალხთა თანაცხოვრების თვალსაზრისით, ერთ-ერთი გზაა იმისათვის, რომ მომავალში ჩვენი პლანეტის ცხოვრებიდან გამოვრიცხოთ კონფლიქტები და სისხლისღვრა.

— არჩევნებისწინა პერიოდია. პრეზიდენტობის მრავალი კანდიდატია უკვე რეგისტრირებული, მგონი 13. არსებობს გარკვეული სოციოლოგიური გამოკვლევები. ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ არის კანდიდატი, რომელსაც სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად მხარს უჭერს 46 პროცენტი, თქვენ კი 31 პროცენტი. წინასაარჩევნოდ ყველა ისე იბრძვის, როგორც შეუძლია. თქვენ რამდენად მნიშვნელოვან პრეტენდენტებად მიიჩნევთ მათ. ისინი განსხვავებული პიროვნებები არიან, და მათი გამო განსხვავებული საზოგადოებრივი აზრი არსებობს, მათ განსხვავებული წონა აქვთ საზოგადოებაში...

— კანდიდატთა სიმრავლე ჩემთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს ჩვენი პოლიტიკური კულტურის მაინცდამაინც მაღალ დონეზე ვერ მეტყველებს. რაც შეეხება ჩემს კონკურენტებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, საერთოდ დასახელებულ კანდიდატთა ეს თაიგული ერთად საინტერესოა, ცალ-ცალკე კი — მრავალწერტილს დავსვამ. მრავალწერტილი კი დასკვნებისათვის ბევრს ნიშნავს და ამაზე ხალხმა უნდა იფიქროს.

პრესკონფერენცია

ლარის შემოღება რეფორმათა პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია

25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით ფულის რეფორმის განხორციელებას მიეძღვნა ვიცე-პრემიერის თემურ ბასილიას, ეკონომიკის მინისტრის ლადო პაპავასა და ეროვნული ბანკის წარმომადგენელთა პრესკონფერენცია. აღინიშნა, რომ ლარის შემოღებას წინ უძღოდა ქართველ სპეციალისტთა დიდი მუშაობა საზღვარგარეთელ ექსპერტთა მონაწილეობით, ვალუტა სახელმწიფოს ნაკლებმნიშვნელოვანი კუთვნილება როდია, ვიდრე დროშა და გერბი.

ფულის ნიშნების მომავალი გამოცვლა ერთჯერადი აქტი კი არა, რესპუბლიკაში უკვე წლინახევრის მანძილზე მიმდინარე იმ რეფორმათა პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლებიც განმტკიცებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური რესურსებით. ლარის შემოღება უზრუნველყოფილია გამოყოფილი კრედიტით — ახლა ეროვნულ ბანკში არის 60 მილიონი დოლარის რეზერვი და სახსრები კვლავაც შემოვა არსებულ მორიგებათა თანახმად ვაშინგტონში საერთაშორისო ორგანიზაციათა მეთაურებთან შეხვედრის შემდეგ. ამ საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის მხარდაჭერა, რომელმაც იკისრა პასუხისმგებლობა რეფორმათა განხორციელებისათვის და რომლის ხელმძღვანელობითაც ხორციელდება ანტიკრიზისული პროგრამა.

რეფორმის დაწყებამდე ათი დღით ადრე მისი ვადების გამოცხადება უპრეცედენტოა, სხვა ქვეყნებში ეს ხდება მოულოდნელად, კუპიურების გაცვლის დაწყებამდე ერთი დღით ადრე. მაგრამ ჩვენმა მთავრობამ გადაწყვიტა დროულად გაეფრთხილებინა მოსახლეობა, რომელიც კუპონების ლარზე გაცვლის დროს არაფერს არ კარგავს — ერთ მილიონ კუპონში ნებისმიერი მოქალაქე მიიღებს ერთ ლარს — იქნება ეს ნაღდი თუ ფულადი ანაბარი ბანკში. კუპონის კურსის შესაბამისობა დოლარისადმი ასევე არ შეიცვლება, — ერთი დოლარი გაიცვლება 1,3 ლარში. ლარი იქნება ერთიანი საგადამხდელო საშუალება რესპუბლიკაში და ჩვენი ეროვნული ვალუტის სტაბილურობა უზრუნველყოფილია კრედიტებით მინიმუმ 3,5 წლის განმავლობაში. სავალუტო რეჟიმის დამრღვევთ ელით მკაცრი სანქციები, რომელთა დამტკიცება დამოკიდებულია პარლამენტზე. ეს უახლოეს დღეებში გადაწყდება. რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთათვის ხელფასის მიცემა რუსეთის მთავრობასთან შესაბამისი მორიგებების მიხედვით ასევე შეიძლება მოხდეს ლარით.

სახელმწიფო-კომერციულ ბანკებსაც მიეცემათ შესაძლებლობა რუსული რუბლის მასები გაგზავნონ რუსეთის ბანკებში, რაც წინათ გაძნელებული იყო. ასე რომ, იმ მოქალაქეებს, რომლებსაც რუსული რუბლი აქვთ, შეეძლებათ დროულად გაცვალონ ლარზე.

ვალერია ალაფიშვილი,
საქინფორმის კორ.

ოფიციალური დოკუმენტები

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის „ლარის“ გაშვების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში საანგარიშსწორებო-საგადამხდელო საქმის მოწესრიგების და ამ სფეროში სახელმწიფო წესრიგის დამყარების მიზნით:

1. 1995 წლის 2 ოქტომბრიდან რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდეს და მიმოქცევაში გაშვებულ იქნეს ახალი ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც იყოფა ას თეთრად.

2. ლარის კუპონზე გადაცვლა განხორციელდეს მიმდინარე წლის 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე.

აღნიშნულ პერიოდში საბანკო დაწესებულებებში შეწყდეს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ანგარიშებიდან არსებული ყველა სახის ფულადი ნიშნების გაცემა და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები — გარდა ფულის ნიშნების გადაცვლასთან დაკავშირებული ოპერაციებისა.

3. 2 ოქტომბრამდე ეროვნული ბანკის კუპონი ლართან ერთად ინარჩუნებს კანონიერ საგადამხდელო საშუალების ფუნქციას.

მ/წლის 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე ლარის, როგორც საგადამხდელო საშუალებად მიღების უფლება (დადგენილი კურსის გათვალისწინებით) აქვთ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სავაჭრო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებს.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საბანკო დაწესებულება ვალდებულია დადგენილი წესების შესაბამისად თავის მომსახურებაში მყოფი საწარმოების და ორგანიზაციებისაგან გადაცვლის პერიოდში შეუფერხებლად მიიღოს ახალი ეროვნული ვალუტის ფულის ნიშნები და მონეტები ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის მიხედვით მათ ანგარიშებზე ჩარიცხვის პირობით.

4. კუპონის ლარზე გადაცვლის კურსი განისაზღვროს შეფარდებით 1 000 000 (ერთი მილიონი) კუპონი: 1 (ერთ) ლართან.

5. მიმდინარე წლის 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე ყველა ფიზიკურ (როგორც რეზიდენტს, ისე არარეზიდენტს) და იურიდიულ პირებს ეძლევათ გარანტია თანხის შეუზღუდავად მოახდინონ მათ ხელზე არსებული კუპონების ახალ ეროვნულ ვალუტაზე — ლარზე გადაცვლა.

6. მოსახლეობის ხელზე არსებული კუპონების ლარზე გადაცვლის ღონისძიება განხორციელდეს გაერთიანებული ქართული ბანკის ფილიალების მეშვეობით, ხოლო იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც არ ფუნქციონირებს აღნიშნული ბანკის ფილიალები, გადაცვლა მოხდეს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ დროებით გადამცვლელ პუნქტებში.

საავადმყოფოებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სამხედრო შენაერთებსა და სხვა მსგავს დაწესებულებებში მყოფი პირების ხელზე არსებული კუპონების ლარზე გადაცვლა მოხდეს აღნიშნული ობიექტების მიერ სპეციალურად ამ მიზნისათვის შექმნილი კომისიების მეშვეობით.

მოქალაქეთა სურვილის შემთხვევაში გაერთიანებული ქართული ბანკი ვალდებულია მოსახლეობის კუთვნილი კუპონები მიიღოს, ანაბრებზე მათზე 2 ოქტომბრიდან ახალი ფულადი ნიშნების პირველ მოთხოვნისთანავე გაცემის ან ვადიან ანაბარზე დატოვების პირობით.

7. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული იურიდიული პირების სალაროებში რიცხული კუპონების ნაშთების ლარზე შეცვლა განხორციელდეს მომსახურე ბანკის მეშვეობით.

8. გადაცვლისათვის დადგენილ პერიოდში რესპუბლიკაში არმყოფი პირებისათვის, რომელთაც ხელზე აქვთ კუპონების გარკვეული თანხა, სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში გადაცვლის ვადა გაგრძელდეს მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე.

სხვა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გადაცვლის ვადის გაგრძელების საკითხს განიხილავს და წყვეტს ეროვნული ვალუტის შემოღების სახელმწიფო კომისია.

9. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა:

ა) თავისი დადგენილებით განსაზღვროს მიმოქცევაში გასაშვები ეროვნული ვალუტის „ლარის“ კუპიურული შემადგენლობა, არსებული წესის თანახმად მოსახლეობამდე დაიყვანოს მათი აღწერილობა და დამცავი მექანიზმის ნიშნები;

ბ) საბანკო დაწესებულებებისა და სპეციალური გადამცვლელი პუნქტებისათვის შეიმუშაოს და ადგილამდე დაიყვანოს კუპონის ლარზე შეცვლის წესები;

გ) ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით შეიმუშაოს და პარლამენტში განსახილველად წარადგინოს დადგენილების პროექტი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

10. კუპონების ლარზე გადაცვლის პროცესს წარმართავს ეროვნული ბანკი, მისი მოთხოვნები აღნიშნული ღონისძიების განხორციელების საქმეში ექვემდებარება უპირობო შესრულებას.

11. 2 ოქტომბრიდან რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი ვალდებულია საქონელსა და მომსახურებაზე ფასების გადაანგარიშება, გამოცხადება და ანგარიშსწორება მოახდინოს მხოლოდ ახალ ეროვნულ ვალუტაში „ლარში“.

12. 25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე აიკრძალოს საბანკო დაწესებულებებში ყოველგვარი შემოწმებების ჩატარება (გარდა უწყებრივისა). 25 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე ანგარიშსწორების შეფერხების, ანგარიშგებათა დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში გათავისუფლდნენ ისინი გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებისაგან.

13. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს ეროვნულ ბანკთან ერთად სამი დღის ვადაში შეიმუშაონ და ადგილებამდე დაიყვანონ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული იურიდიული და ფიზიკური პირების კუპონებში რიცხული აქტივებისა და პასივების დამრგვალებისა და ლარის კურსთან შესაბამისობაში მოყვანის წესები.

14. მიმოქცევაში ლარის შემოღებასთან დაკავშირებით გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 27 სექტემბრის №720 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში კუპონის კურსის განმტკიცებისათვის დამატებით ღონისძიებათა გატარების შესახებ“ და აღნიშნული დადგენილების საფუძველზე გაცემული ლიცენზიები.

15. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციამ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ლარის გაშვების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებებისა და პროცესების გაშუქებას.

16. ყველა წინამდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის აღნიშნულ ბრძანებულებასთან, ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 18 სექტემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
ეროვნული ფულადი ერთეულის — ლარის მიმოქცევაში დამკვიდრების გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ

ბოლო დროს რესპუბლიკის ეკონომიკაში პოზიტიური ძვრები შეინიშნება. ხელისუფლების მიერ გატარებული ქმედითი ღონისძიებების შედეგად მიღწეულ იქნა ფინანსური სფეროს გარკვეული სტაბილიზაცია. უკვე ერთ წელზე მეტია აღარ ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ფულადი ემისიის ხარჯზე დაბალანსება, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფასების ლიბერალიზაციამ, საგადასახადო, საბაჟო სისტემების სრულყოფამ, პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებამ. რადიკალურად შეიცვალა ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. გადალახულ იქნა ფულადი ემისიის ხარჯზე რეფინანსირების გზით მეურნეობის ცალკეული დარგების გაუმართლებელი დაკრედიტება. ბანკებს შორის ანგარიშსწორება დაეფუძნა მათ ანგარიშებზე ფაქტიურად რიცხულ ფულად სახსრებს. ამოქმედდა ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონი, რომელმაც უზრუნველყო რეალური საპროცენტო განაკვეთების ჩამოყალიბება. ეროვნულმა ბანკმა შექმნა სავალუტო რეზერვი, რამაც შესაძლებელი გახადა მოქნილი საკურსო პოლიტიკის გატარება თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და ეროვნული ბანკის შეთანხმებულმა მოქმედებამ შედეგი გამოიღო. მკვეთრად დაეცა ინფლაციის თვიური ტემპი, უკვე ერთი წელია რაც სტაბილურია კუპონის კურსი თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტების მიმართ. ეკონომიკურმა სტაბილიზაციამ არსებითად შეცვალა ქვეყნის იმიჯი საერთაშორისო ფინანსურ წრეებში, რაც გამოიხატა საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს სარეზერვო და სარეაბილიტაციო კრედიტების გამოყოფაში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და სხვა საკრედიტო ინსტიტუტების მიერ ცალკეული სექტორალური პროგრამების დაფინანსებაში.

ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას თან სდევდა ხელისუფლების უკომპრომისო ბრძოლა კრიმინოგენური სიტუაციის გაუმჯობესებისა და ცხოვრების ყველა სფეროში სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენისათვის.

ყოველივე ზემოთქმულმა შესაძლებელი გახადა ეროვნული ფულადი ერთეულის შემოღება, რომელმაც უნდა შექმნას წარმოების რეაბილიტაციისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების წინაპირობა.

მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის — ლარის დამკვიდრების უზრუნველყოფის მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ეროვნულ მეურნეობაში მიღწეული ძვრებისა და მიმდინარე ფულადი რეფორმის მოთხოვნათა გათვალისწინებით სრულყოს რესპუბლიკის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის მოქმედი პროგრამა, რომლის უპირველეს პრიორიტეტად მიჩნეულ იქნეს მატერიალური წარმოების სფეროს სწრაფი რეაბილიტაცია.

2. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ეროვნულ ბანკთან ერთად დაასრულოს მოლაპარაკება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სტრუქტურული გარდაქმნების გაფართოებული დაფინანსების პროგრამის განხორციელების მიზნით საქართველოსათვის მორიგი შეღავათიანი კრედიტის მისაღებად. გაღრმავდეს კონტაქტები მსოფლიო ბანკსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან საქართველოსათვის შემდგომი სექტორალური კრედიტების გამოყოფის მიზნით.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ მოქმედი ფულადი ნიშნების გამოცვლის დაწყების პერიოდისათვის რეგულირებადი ფასებისა და ტარიფების გადაანგარიშება მოახდინოს ლარის მიმართ კუპონის ოფიციალურად დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

სამინისტროებმა და უწყებებმა მკაცრი კონტროლი დააწესონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საქონლისა და მომსახურების ფასების ლარის მიმართ კუპონის ოფიციალურად დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად გადაანგარიშებისადმი.

4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა და ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე გააგრძელონ მიზანდასახული მუშაობა ქვეყანაში ფულადი ბაზრის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისა და უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციების საბანკო სისტემაში მოქცევისათვის.

5. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ ეროვნულ ბანკთან ერთად უზრუნველყოს სახაზინო ვალდებულებების გამოშვება და განთავსება რესპუბლიკის ბიუჯეტის დეფიციტის შევსებისა და ადეკვატური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებისათვის.

6. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ ეკონომიკის სამინისტროსა და შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად მის ხელთ არსებული ყველა რეზერვის მობილიზაციის ხარჯზე 1 ნოემბრამდე წარმოადგინოს წინადადება საბიუჯეტო სფეროში ხელფასების მომატებისა და პენსიების გაზრდის შესახებ.

7. რესპუბლიკის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მომსახურების მიზნით ეროვნულმა ბანკმა ხელი შეუწყოს მოქმედი კომერციული ბანკების რეკაპიტალიზაციასა და წვრილი საბანკო დაწესებულებების გამსხვილებას.

8. ეროვნული ფულადი ერთეულის უზრუნველყოფის მიზნით ეროვნულ ბანკს დაეკისროს ქვეყნის ოქროსა და სავალუტო რეზერვების საიმედო შენახვა და ეფექტიანი მართვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. რესპუბლიკის საბანკო სისტემის მიმართ მოსახლეობის ფართო მასების ნდობის აღდგენის მიზნით მინისტრთა კაბინეტმა და ეროვნულმა ბანკმა განახორციელონ ღონისძიებანი ანაბრების სავალდებულო დაზღვევის ერთიანი სისტემის შესაქმნელად.

10. დაევალოს ფინანსთა სამინისტროს განიხილოს კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადებამდე ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში მოქალაქეთა ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის შესაძლებლობის საკითხი და შეიმუშაოს მექანიზმი ინდექსირებადი სახსრების სახაზინო თამასუქებისა და მიზნობრივი ობლიგაციების ფორმით მეანაბრეთა წინაშე სამთავრობო ვალდებულებების სარეალიზაციოდ.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 18 სექტემბერი.

აქტუალური ისტორია

„რუსები — ოკეი!“

მეოცე საუკუნის ისტორიის ერთ-ერთ პარადოქსად უნდა ჩაითვალოს, რომ კომუნისტურ რეჟიმს ხოტბას ასხამდნენ არა მარტო საბჭოთა მწერლები თუ პროფესორები, არამედ დასავლეთის თავისუფლებისა და დემოკრატიის თაყვანისმცემელ ინტელექტუალთა გარკვეული, ანგარიშგასაწევი ნაწილიც (სავსებით უანგაროდ!). მაგრამ ყველაზე საოცარი ის გახლავთ, რომ მათ, არცთუ იშვიათად, ხმას აძლევდნენ დასავლეთის კაპიტალისტები!

დიახ, „მოგებას დახარბებული“ კაპიტალისტები აქტიურად უჭერდნენ მხარს საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ შექმნილ საზოგადოებრივ აზრს. ასე მაგალითად, ოციან წლებში როკფელერთა ნავთობის კომპანიამ („სტანდარდ ოილის“ სახელით რომ არის ცნობილი ჩვენში) გადაწყვიტა, საბჭოთა დაკვეთით, ბათუმში აეგო ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და საბჭოთა კავშირში გამოგზავნა რეკლამის გამოცდილი სპეციალისტი. სურდათ დაერწმუნებინათ ამერიკელები, რომ სოციალიზმის ქვეყანა ისეთივე სახელმწიფოა, როგორც ყველა სხვა.

ამერიკელმა რეკლამის სპეციალისტმა პირნათლად შეასრულა დავალება. იგი აღნიშნავდა: „გაგონილი მქონდა, რომ რუსეთის მთავრობამ, კომუნისტურმა პარტიამ და კომინტერნმა მოაწყვეს შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა, — კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ. ძალზე მაინტერესებდა, საკუთარი თვალით მენახა, თუ როგორ გამოიყურება ეს შეთქმულება და როგორ მოქმედებს“.

რეკლამის სპეციალისტმა, რომელმაც რუსული ერთი სიტყვაც არ იცოდა, სულ რამდენიმე დღეში დაასკვნა, რომ „რუსები — ოკეი!“ მისი მოსაზრებით, შეერთებულ შტატებს საჩქაროდ უნდა ეცნო საბჭოთა კავშირი და გულუხვად გაეღო კრედიტები.

გერმანული და ამერიკული არქივების შესწავლის საფუძველზე ამერიკელმა ისტორიკოსმა სეთონმა დაადგინა, რომ საბჭოთა საწარმოთა 95 პროცენტი იღებდა დასავლეთის დახმარებას მანქანების, ტექნოლოგიისა და პირდაპირი ტექნიკური კონსულტაციების სახით.

საბჭოთა კავშირი მარჯვედ იყენებდა კაპიტალისტურ ფირმებს შორის კონკურენციას. გაზეთში „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“ (1929 წლის 29 სექტემბერი) ვკითხულობთ: „ჩვენ არ მივდევთ არც ინგლისურ, არც გერმანულ და არც ამერიკულ ორიენტაციას. ჩვენ მივდევთ საბჭოთა ორიენტაციას... როდესაც ჩვენ გვესაჭიროება სანავთობო, საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის მოდერნიზაცია, მივმართავთ ამერიკას, რადგანაც იგი ყველაზე მოწინავე ქვეყანაა ამ დარგებში; როდესაც საქმე ეხება ქიმიას, მაშინ მივმართავთ გერმანიას“.

კაპიტალისტური ფირმები სასტიკ კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს და ჩქარობდნენ კონცესიების ხელში ჩაგდებას. ისინი საბჭოთა კავშირს დაუზარებლად აწვდიდნენ უახლეს მოწყობილობას და ტექნოლოგიას, გზავნიდნენ ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, ეპატიჟებოდნენ საბჭოთა სტაჟიორებს.

ყოფილი საბჭოთა ისტორიკოსის მიხეილ ჰელერის სიტყვით, ასე იმსხვრევა საბჭოთა კავშირში შეთხზული მითი კაპიტალისტური „ზვიგენების“ მტრულ დამოკიდებულებაზე „სოციალიზმის სამშობლოსადმი“, რომელიც თითქოსდა მოქცეული იყო „ეკონომიკურ იზოლაციაში“ და ბლოკადას განიცდიდა.

როგორც დასავლეთში ამტკიცებენ, მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის დახმარებამ გამოიწვია საბჭოთა ეკონომიკის სწრაფი აღდგენა და მოდერნიზება ოციან წლებში. და რაც ყველაზე საინტერესოა, კაპიტალისტური სამყარო წითელ არმიას უშურველად აწვდიდა ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ იარაღს.

დასავლეთის კონცესიონერთა რიგში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ამერიკელ ავერელ ჰარიმანს, რომელმაც შემდგომში სახელი გაითქვა პოლიტიკურ ასპარეზზე და, სხვათა შორის, შეერთებული შტატების ელჩად იმყოფებოდა მოსკოვში (1943-1946 წწ.).

უნდა აღინიშნოს, რომ ჰარიმანის ინტერესი რუსეთისადმი თავდაპირველად სწორედ პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. ჯერ კიდევ სიყმაწვილეში ხელთ ჩაუვარდა ამერიკელი ავტორის წიგნი მეფის რუსეთის სატუსაღოებზე და დიდად შეძრწუნებული დარჩა, ახალგაზრდობაში მოუთმენლად მიისწრაფოდა, რომ თავისი თვალით ენახა, თუ რას მიაღწიეს ბოლშევიკებმა და რა გზით გარდაქმნეს თავიანთი ვრცელი და ჩამორჩენილი ქვეყანა. პოლიტიკოსის ალღოთი დაჯილდოებული ჰარიმანი უკვე ხვდებოდა, რომ რუსეთის რევოლუცია გარდაუვალად მოახდენდა ზემოქმედებას, ავად თუ კარგად, მთელი მსოფლიოს ბედ-იღბალზე.

1924 წელს, ჰარიმანის ფირმამ განიზრახა, საბჭოთა მთავრობისაგან მიეღო კონცესია ჭიათურის მანგანუმის საბადოთა დასამუშავებლად („კავკასიაში, თბილისის მახლობლად“). 1925 წლის ივნისში დაიწყო კიდეც და მოკლე ხნის მანძილზე საკმაო მოგება მიიღო. საწარმოს პერსპექტივის გარკვეული გართულების გამო ჰარიმანმა გადაწყვიტა ჩამოსულიყო საბჭოთა კავშირში და თავისი თვალით ენახა მოსკოვი და ჭიათურა.

ჰარიმანმა გზად მოინახულა ამერიკელთა საელჩოები ევროპაში და, უმეტესწილად, მოისმინა საყოველთაოდ გავრცელებული წინასწარმეტყველებანი იმის თაობაზე, რომ კომუნისტური რეჟიმი ხუთ წელიწადზე მეტხანს ვერ გასტანდა. მაგრამ წინანდელი გამოცდილებით იცოდა, რომ ხუთწლიანი ლიმიტი იჭიმებოდა წლიდან წლამდე. ამ პროგნოზების უაზრობა ჰარიმანმა მალე იგრძნო, როდესაც მოსკოვს ჩავიდა 1926 წლის დეკემბერში.

ჰარიმანის აზრით, ბოლშევიკებს მტკიცედ ეპყრათ ხელისუფლება უკვე ცხრა წლის განმავლობაში და არაფერი მოწმობდა იმას, რომ ისინი დაკარგავდნენ ხელისუფლების სადავეებს. ლენინის სიკვდილის შემდეგ გარდაუვალ ლიდერად გამოიყურებოდა სტალინი, თუმცა ჯერ კიდევ არ იყო გაბატონებული.

ჰარიმანს ოთხსაათიანი საუბარი ჰქონდა ლევ ტროცკისთან და დაინახა, რომ ოპოზიციის აღიარებულ წინამძღოლს თავგზა აბნეოდა. იმხანად, სწორედ ტროცკი იყო საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარე. იგი თავაზიანად უსმენდა ჰარიმანის წინადადებებს საკონცესიო ხელშეკრულებაში შესატან ცვლილებათა შესახებ, მაგრამ პასუხად კრინტსაც არ ძრავდა, როდესაც ჰარიმანმა დაასრულა თავისი შეკითხვები, ტროცკი წამოდგა, სტუმარს თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა. ჰარიმანმა დაასკვნა, რომ „ამგვარი გულგრილობა, ალბათ, გამოწვეული იყო მისი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით. ისე იქცეოდა, თითქოს ჩვენს საუბარს ისმენდნენ და ამიტომაც ვერ გარისკა, რომ მის გასაჭირს კიდევ ახალი გასაჭირი არ მიმატებოდა“.

საბჭოთა კავშირში ხანმოკლე ვიზიტის მანძილზე ჰარიმანი დარწმუნდა, რომ ნეპისა და უცხოურ კონცესიათა დღეები დათვლილი იყო და რაც უფრო მალე შეწყვეტდა ჭიათურის კონცესიას, მით უკეთესი იქნებოდა.

ჰარიმანისთანა მაღალი რანგის კაპიტალისტი უცხო ხილი იყო მოსკოვში და ამიტომაც არ გასჭირვებია შეხვედრები საბჭოთა სახალხო კომისართა უმეტესობასთან. მაგრამ ვერ შეხვდა სტალინს, რომელზეც უთხრეს, ქალაქიდან გასული არისო. სახალხო კომისრები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ შეერთებულ შტატებს ეცნო საბჭოთა კავშირი.

ჰარიმანი თავის მოგონებებში წერს, რომ 1926 წელს მოსკოვისა და ლენინგრადის ცხოვრება უფრო ლაღი ეჩვენა, ვიდრე ეს შემდგომში შეინიშნებოდაო. განსაკუთრებით გამოცოცხლებული იყო ხელოვნება, ახალი თეატრი აყვავების გზაზე იდგა. ამერიკელი კაპიტალისტი დაუბრკოლებლად ხვდებოდა საბჭოთა მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, რჩეულ ინტელექტუალებს. ჰარიმანი დაწვრილებით ესაუბრა უცხოელ ჟურნალისტებს და მათგან უფრო ბევრი რამ შეიტყო, ვიდრე რომელიმე დიპლომატისგან.

თუმცა გრძნობდა, რომ თვალყურს ადევნებდნენ, მაინცდამაინც არ შეუწუხებიათ. ჰარიმანი თვალნათლივ ხედავდა, რომ ხალხის მასებისათვის საბჭოთა კავშირში ცხოვრების პირობები მძიმე იყო და სულ უფრო მძიმდებოდა. მას სამუდამოდ დაამახსოვრდა უსახლკარო ყმაწვილები, სამოქალაქო ომს რომ დაეობლებინა, დაძონძილნი, დაუბანელნი და მშიერნი, მოსკოვის გათოშილ ქუჩებში რომ დაწანწალებდნენ, მათხოვრობდნენ ანდა იპარავდნენ ერთ ლუკმა პურს.

ჰარიმანმა დაიქირავა მატარებლის ვაგონი, როგორც ნამდვილ კაპიტალისტს შეეფერებოდა (მისგან სწორედ ამას მოელოდნენ) და მოსკოვიდან სამხრეთისაკენ გაემგზავრა. მეფისდროინდელი ვაგონი ძალზე მდიდრულად გამოიყურებოდა. მისი მსგავსი ამერიკელ კაპიტალისტს არსად ენახა. თბილისამდე მგზავრობას ოთხი დღე დასჭირდა, მატარებლის სიჩქარე არ აღემატებოდა 25 მილს საათში. რკინიგზის ყოველ სადგურზე ჰარიმანი ხედავდა უამრავ ადამიანს, ფლეგმატურად რომ ელოდნენ მატარებლებს ზამთრის სუსხში. ჰარიმანი შეჩერდა ბაქოში, ნავთობსარეწების დასათვალიერებლად. სასტუმროს რესტორანის მენიუში თურმე არ ყოფილა კარაქი, სამაგიეროდ, თავზესაყრელად იყო ხიზილალა.

თბილისში ჰარიმანმა მთელი დღე გაატარა. ოპერის თეატრში დაესწრო სპექტაკლს, მანამდე ქართველმა ხელისუფლებმა წაიყვანეს სტუმრად ე. წ. ღვინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში (ანუ — ენოთეკაში), რომელიც მოთავსებული იყო ყოფილი დიდი მთავრის ნიკოლოზის კუთვნილ სარდაფებში. ღვინო საკმაოდ ძველი და დავარგებული ჩანდა. ჰარიმანმა ჭაშნიკი გაუსინჯა რჩეულ ფრანგულ თუ გერმანულ ღვინოებს, აგრეთვე იგემა ნამდვილი „ნაპოლეონის“ მარკის კონიაკი. ვიზიტი ენოთეკაში რამდენიმე საათს გრძელდებოდა და ქართველ მასპინძლებს ამერიკელი სტუმარი, ჩვეულებისამებრ, გვარიანად დაუთვრიათ.

ჭიათურაში ჰარიმანმა დაათვალიერა მანგანუმის მაღარო და მისი ახლად აგებული გამამდიდრებელი ფაბრიკა, ესაუბრა ამერიკელ ინჟინრებს და რამდენიმე დღის შემდეგ ფოთის ნავსადგურიდან გემით გაემგზავრა კონსტანტინოპოლს.

1927 წლის იანვარში იგი შეჩერდა მილანში, იტალიელ ბანკირებთან მოსალაპარაკებლად. მერე შეხვდა ფაშისტური იტალიის დიქტატორს — ბენიტო მუსოლინის და ბანკირთა დავალებით აუხსნა, თუ რაოდენ დამღუპველ გავლენას მოახდენდა ლირის რევალვაცია იტალიის საერთაშორისო სესხებზე. მუსოლინიმ პასუხად მიუგო: „მისტერ ჰარიმან, თქვენ არ გესმით, რომ მე უნდა აღვადგინო იტალიელი ხალხის ამაყი სული, ლირის ღირებულებას პატივი სჭირდება“.

როდესაც ჰარიმანმა ჰკითხა მუსოლინის, საბჭოთა კავშირზე რა აზრისა ბრძანდებითო, დიქტატორმა უპასუხა: თუმცა კომუნიზმის სასტიკი მოწინააღმდეგე ვარ, რუსეთთან ფრთხილსა და ზომიერ ვაჭრობას ხელსაყრელად ვთვლიო. თურმე, მუსოლინი ინგლისური ენის შესწავლით ყოფილა გატაცებული და მოითხოვდა, რომ მხოლოდ ინგლისურად ელაპარაკათ. ასე რომ, საუბარმა იტალიელ დიქტატორთან ძალზე გატანჯა ამერიკელი კაპიტალისტი.

რომიდან ჰარიმანი საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში ჩავიდა, სადაც მოახერხა შეხვედრა უინსტონ ჩერჩილთან, რომელიც მაშინ დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი იყო. ჰარიმანს აინტერესებდა ჩერჩილის შეხედულება რუსეთზე, და კერძოდ, — იწონებდა თუ არა იგი ჰარიმანის განზრახვას, ერჩია თავისი კომპანიონებისათვის ჭიათურის მანგანუმის კონცესიის შეწყვეტა. მოგვიანებით ჩერჩილი ამტკიცებდა, ჰარიმანს მილიონები გადავურჩინე, როდესაც ვურჩიე, რუსეთში ბიზნესს მოეშვიო.

ფინანსური მოლაპარაკება საბჭოთა საკონცესიო კომიტეტთან მთელ წელიწადს გრძელდებოდა და ორივე მხარის საკეთილდღეოდ დასრულდა. ამერიკელთა კომპანიამ დაბანდებული კაპიტალიც დაიბრუნა და გარკვეული მოგებაც ნახა.

ჰარიმანი გრძნობდა, რომ უკეთესი შედეგებით შეწყვიტა ბიზნესი საბჭოთა კავშირში, ვიდრე სხვა კონცესიონერებმა, რომლებიც ცდილობდნენ საქმის გაგრძელებას და ფრიად დაზარალდნენ. ამასთან ერთად, ჰარიმანს ძალზე გამოადგა მიღებული გამოცდილება, როდესაც მეორე მსოფლიო ომის წლებში მოუწია ხანგრძლივი ურთიერთობა საბჭოთა მთავრობასთან და კერძოდ — სტალინთან.

„ჩემმა იმდროინდელმა დაკვირვებებმა, — იხსენებდა ჰარიმანი, — მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ბოლშევიკური რევოლუცია იყო ქვეყნის რეაქციული განვითარება. პროლეტარიატის დიქტატურა ითვალისწინებდა უმცირესობის გაბატონებას უმრავლესობაზე, ინდივიდის გადაქცევას სახელმწიფოს მსახურად. ეს მეჩვენებოდა არსებით უთანხმოებად კაცობრიობის კანონიერ მისწრაფებებთან. ასეთი იყო ჩემი თვალსაზრისი 1926 წელს. მას შემდეგ მისი შეცვლის საფუძველი არასოდეს არ გამჩენია.

მოამზადა
თამაზ ნატროშვილმა.

ეს ჩვენი ისტორიაა

ალეკო ასლანიშვილი

და კრონოსი ჭამდა საკუთარ შვილებს

„ძვირფასო ამხანაგებო! სამ თვეზე მეტია, რაც დავბრუნდი საზღვარგარეთიდან. ჩამოსვლისას, თანახმად ცკ-ის წინადადებისა, შევუდექი არალეგალურ პარტიულ მუშაობას, მხოლოდ ერთი პირობით, რომ ჩემს მუშაობას უნდა ჰქონოდა წმინდა პარტიული ხასიათი და არა სხვა რაიმე. მუშაობის დაწყების თითქმის პირველი დღიდანვე გავიგე, რომ აქ მიმდინარეობს მზადება შეიარაღებული გამოსვლების მოსაწყობად და რომ საამისოდ სამხედრო ორგანიზაციებიც იქმნებოდა და სხვ. რასაკვირველია, მაშინვე ვიგრძენი ამ საკითხის სერიოზულობა და მისი მნიშვნელობა. თუმცა მე პრინციპულად არა ვარ და არც შეიძლებოდა ვყოფილიყავი ხალხის მასობრივი გამოსვლების წინააღმდეგი, მაგრამ დღეს, დღევანდელ პირობებში, შეიარაღებული აჯანყების მოწყობა ნამდვილად შეუძლებლად და ხალხის დამღუპველად მიმაჩნია. ეს ჩემი აზრი თავის დროზე კიდევაც ვაცნობე ცკ-ს. არ ვიცი, ამხანაგებო, როგორ დგას ეს საკითხი პარტიაში ვალიკოს (ვ. ჯუღელის) — ა. ა.), წერილების შემდეგ; მაგრამ თუკი ცკ ამის შემდეგაც სერიოზულად ფიქრობს შეიარაღებული აჯანყების მოწყობას, აუცილებელი და საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება, რათა ეს ავანტიურა არ განხორციელდეს.

შეიძლება თქვენ გაგიკვირდეთ, რომ ამ წერილს ჩეკიდან გწერთ. იქნებ იფიქროთ, რომ შიშის გამო ვწერ. გარწმუნებთ, ამხანაგებო, ამ წერილს არასდროს არანაირი შიშის გავლენით არ დავწერდი, უდიდეს პასუხისმგებლობას რომ არ ვგრძნობდი იმ საშინელი უბედურების გამო, რაც შეიძლება ქართველ ხალხს მოუტანოს შეიარაღებული აჯანყების მოწყობამ. ჩეკასი რომ მშინებოდა, საზღვარგარეთიდან არ მოვბრუნდებოდი აქ სამუშაოდ.

მე მესმის, ამხანაგებო, თუ რა ძნელი იქნება ზოგიერთისთვის ამ საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა, მაგრამ ახლანდელი მომენტის სერიოზულობა და მასთან დაკავშირებით ხალხის ინტერესების დაცვა გავალებს ამ სიძნელის დაძლევას და შეიარაღებული აჯანყების მოწყობაზე ხელის აღებას. შეიარაღებულ აჯანყებას დღეს შეუძლია საშინელი ტკივილები მიაყენოს ჩვენს ხალხს. ამას შეუძლია პარტიის სრულიად მოსპობა. ამიტომ ამ გზით პარტია ვერ წავა. საჭიროა დაფიქრება, მდგომარეობის აწონ-დაწონვა, პარტია თავის ტაქტიკას ვერ ააშენებს უზრალო გატაცებაზე და ფსიქოლოგიურ მომენტებზე.

ამხანაგებო, ჩემი გარეთ ყოფნის დროს, მიუხედავად შეიარაღებული აჯანყებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებისა, მაინც სხვანაირად ვფიქრობდი, მაგრამ სულ სხვანაირად ვფიქრობ ახლა. რატომ? აი, რატომ: ჯერ ბათუმში და მერე აქ (ე. ი. ბათუმისა და თბილისის ჩეკას ციხეში — ა. ა.), მასალების გაცნობის შემდეგ, დავრწმუნდი, რომ ჩეკას ყველაფერი სცოდნია, არათუ მხოლოდ მთავარი მომენტები ჩვენი მუშაობისა, არამედ დეტალებიც. როგორ და რა საშუალებებით, სხვა საკითხია, მაგრამ, ეს ფაქტია. ამ ფაქტის ანგარიშგაუწევლობა, ჩემი აზრით, უდიდესი დანაშაული იქნება, ამიტომ პირდაპირ ვალდებული ვიყავი, ეს წერილი დამეწერა.

ამხანაგებო! განა შეიძლება შეიარაღებული აჯანყების მოწყობა მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგემ წინდაწინვე იცის თქვენი ყველა გეგმა? რასაკვირველია, არა! შეიძლება ალაგ-ალაგ მოხდეს გამოსვლა, მაგრამ ვისთვის იქნება ეს საჭირო? რას მოუტანს ეს ჩვენს ხალხს, საშინელი უბედურებისა და ტანჯვის გარდა?

პარტიის ცკ-ს უნდა მიეცეს კატეგორიული წინადადება — ხელი აიღოს შეიარაღებული აჯანყების მოწყობაზე. თქვენი ვალია დაფიქრდეთ მდგომარეობას, აწონ-დაწონოთ და მის კვალობაზე გადადგათ გადამჭრელი ნაბიჯი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად. ამხანაგებო, შეიარაღებული აჯანყების საკითხი დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან, ამის გადადება არ შეიძლება. სასტიკად უნდა აილაგმოს ყველა ის, ვინც ცდილობს ავანტიურაში ხალხის ჩათრევას, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს ეს.

მაშ ასე, ამხანაგებო, თქვენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ეცადეთ, არ მოხდეს ავანტიურა, ეცადეთ ალაგმოთ ყველა ის, ვინც ცდილობს ხალხის საშინელ ავანტიურაში გახვევას.

ამხანაგური სალმით ვ. ცინცაძე.
30 აგვისტო, 1924 წ. ზაქჩეკა.

ახლა ძნელია თქმა, როგორ და ვისი ინიციატივით დაიწერა ეს წერილი ან ნებაყოფლობით იყო თუ არა იგი დაწერილი. უფრო სავარაუდოა, რომ ეს, ისევე, როგორც ვ. ჯუღელმა, საკუთარი სურვილით გააკეთა, რათა როგორმე თავიდან აერიდებინა უაზრო სისხლისღვრა, მას შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ ყველაფერი დასაღუპად იყო განწირული. რატომ აღარ მისცა ჩეკამ ამ წერილს მწვანე გზა ჯუღელის წერილივით, ძნელი სათქმელია. ალბათ, მას ხელს უკვე აღარ აძლევდა დაწყებული აჯანყების შესაჩერებელი მოწოდებები.

საქმე № 84 (К 23075—61) მოკლე მინაწერით ბოლოვდება: **დახვრეტილია აჯანყების დროს...**

„უკვდავია ჩვენი ერთობა და სიყვარული“

გამოცემა ტუტკუ გვარამიასი. გ. ტაბიძე. ლექსები, I ტომი, ქუთაისი. სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვის. 1914 — აწერია თავფურცელს.

1914 წელი გალაკტიონის პირველი კრებულის დაბადების თარიღია. ფურცლავ და გრძნობ, რა ელვარე მზე ამობრწყინდა ქართული პოეზიის კაბადონზე — „ხელოვნება“, „უსიხარულოდ“, „განაბლდა გული“, „მე და ღამე“, „გურიის მთები“, „მესაფლავე“...

მხოლოდ 6 წელიწადია გასული, რაც ყმაწვილი პოეტის ორი ლექსი დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენს კვალში“ და გაზეთ „ამირანში“. მაგრამ წიგნის კანტორის გამგემ ტუტკუ გვარამიამ იცის, რომ ის ნერგი უკვე ბუმბერაზ მუხად წამოიმართა. ამიტომ, ხარჯებს არ ერიდება — წიგნზე ხელმოწერას რუსეთშიც აწყობს, გამოცემამდე კი საზოგადოებრივ აზრს ამზადებს კრებულის ირგვლივ. არადა, ისიც მხოლოდ 22 წლისაა — გალაკტიონის თანატოლი.

უწმინდესი და უნაზესი მეგობრობა აკავშირებს ამ ორ ჭაბუკს.

ტუტკუს (ექსპრომტი)

როცა სიცოცხლის შორ გატაცებას
ვუახლოვდებით, რად გვწყდება გული?
მუდამ გვახსოვდეს, რომ უკვდავია,
ჩვენი ერთობა და სიყვარული!
მეგობრის გული როდის არ იგრძნობს,
მეგობრის სულის იდუმალებას?
იგი აქარწყლებს მწარედ დაფარულს,
მწუხარებას და ტანჯვა-წვალებას!

ტუტკუს სახლში გალაკტიონს „თავისი“ ოთახიც კი აქვს მიჩენილი, რომლის ფანჯრებიც იასამნებით დაჩრდილულ აივანზე გადის. სწორედ იქ, დღევანდელი ბარათაშვილის ქ. № 4-ში, დაიწერა „მე და ღამე“. გახსოვთ: „მთვარით ნაფენს არე-მარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს, სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს“...?

ეს მეგობრობა 1924 წელს შეწყდა, როცა საქართველოში განუკითხავად დათხეულმა სისხლის მდინარემ ტუტკუს სიცოცხლეც წარიტაცა. მაგრამ ვერც ჯალათის ტყვიამ და ვერც მსახვრალმა დრომ ვერ გაახუნა დაღუპული მამულიშვილის ნათელი ხატება.

სრულიად საიდუმლოდ!
ქუთაისი. პოლიტბიუროს უფროსს.

საქ. ჩეკას საიდუმლო-ოპერატიული ნაწილი წინადადებას გაძლევთ სასწრაფოდ დაამთავროთ მენშევიკთა საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის საქმის გამოძიება და მთელი შემადგენლობა, საქმესთან ერთად, გამოგზავნოთ საქ. ჩეკაში.

1924 წლის 28 აპრილი.
ჩეკას თავმჯდომარის მოადგილე — საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსი ბერია.

ქუთაისის პოლიტბიუროს 1924 წლის 16 მაისის დადგენილებიდან: **ა. წ. თებერვალში შემოვიდა აგენტურული ცნობა, რომ გადასახლებული პოლიტპატიმრის ბაბუნაშვილის სახლში იმალება ვიღაც საეჭვო პირი. დამუშავების შემდეგ ა. წ. 4 მარტს, მითითებულ სახლში მოეწყო ჩხრეკა, სადაც დაპატიმრებულ იქნა ქუთაისის არალეგალური საოლქო კომიტეტის წევრი, არალეგალურად მცხოვრები პავლე (იგივე პორფილე) გრძელიძე.**

პავლე გრძელიძე: 46 წლის. წერა-კითხვის მცოდნე (საოჯახო განათლებით). რკინიგზის უფროსი კონდუქტორი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1905 წლიდან. კლასობრივი მდგომარეობით წვრილი მემამულე — რაჭის მაზრის სოფელ ბარში აქვს სახლი და 1,5 ქცევა მიწა. ცოლი პელაგია — 28 წლის, დიასახლისი. შვილები: ელენე — 3,5 წლის, გივი — 1,5 წლის. 1921-1922 წლებში იყო პოლიტპატიმარი. პარტიული მეტსახელი „გერასიმე“.

ქუთაისის პოლიტბიუროს 1924 წლის 16 მაისის დადგენილებიდან: **შემოსული აგენტურული ცნობების შემდეგ, ა. წ. 8 აპრილს, დაეცით ქუთაისის არალეგალური საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა თათბირს, რომელსაც ესწრებოდნენ თედორე ასათიანი, ვასილ ურუშაძე და ტუტკუ გვარამია.**

თედორე ასათიანი: 38 წლის. დაბადებული ლანჩხუთის რაიონის სოფელ დერჩში. წერა-კითხვის მცოდნე (საოჯახო განათლებით). პროფესიით ნოქარი. ყოფილი აზნაური. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1903 წლიდან. მენშევიკების დროს იყო ქუთაისის გვარდიის შტაბის წევრი. ცოლი სონია — 28 წლის, დიასახლისი. შვილები: ნათელა — 2 წლის, ქეთუნია — 11 თვის. დაპატიმრებამდე 1 წელიწადი არალეგალურად ცხოვრობდა. ქუთაისის არალეგალური საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი ინტერპარტიულ კომიტეტში. პარტიული მეტსახელი „ილო“.

ვასილ ურუშაძე. 33 წლის. ისტორიის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი. სოციალური წარმოშობით გლეხი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1912 წლიდან. დედა ბაბილინა — 60 წლის, დიასახლისი, 1921-1922 წლებში იყო პოლიტპატიმარი. ბოლო 1 წელიწადი არალეგალურად ცხოვრობდა. ქუთაისის არალეგალური საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე. პარტიული მეტსახელი „სოსო“.

ტუტკუ გვარამია: 31 წლის. სტუდენტი. სოციალური წარმოშობით გლეხი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1912 წლიდან. 1913 და 1916 წლებში ჟანდარმერიის მიერ დაპატიმრებული იყო პოლიტიკურ ნიადაგზე. 1917 წლამდე 1,5 წელი მსახურობდა ქუთაისში დისლოცირებულ 110-ე პოლკში მწერლად, შემდეგ 6 თვე — პოლკის კომიტეტში. მენშევიკების დროს მუშაობდა გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციაში, იყო ქუთაისის გვარდიის შტაბის წევრი. დედა ქეთევანი — 55 წლის, დიასახლისი, ცოლი ნინო აბესაძე — 29 წლის, მასწავლებელი. ძმები გრიგოლი — 20 წლის, ალექსანდრე — 16 წლის, ირაკლი — 8 წლის, და თამარი — 18 წლის. დაპატიმრებამდე არალეგალურად ცხოვრობდა.

ოთხეულის „საქმე“ იმ აგენტურული მასალების საფუძველზე შეიქმნა, რომლებიც ქუთაისის პოლიტბიუროში შევიდა სხვადასხვა დროს. დასტურდებოდა, რომ მენშევიკთა პარტიის არალეგალურ მუშაობას ქუთაისში, ლანჩხუთისა და რაჭის უეზდებში ხელმძღვანელობდა საიდუმლო საოლქო კომიტეტი, რომლის პრეზიდიუმის წევრთა შორისაც იყვნენ პ. გრძელიძე, თ. ასათიანი, ვ. ურუშაძე და ტ. გვარამია.

ტუტკუ გვარამიასა და თედორე ასათიანის სახელი ჩეკაში მანამდეც კარგად იყო ცნობილი, ისინი არალეგალურ ორგანიზაციას საქართველოს გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე ხელმძღვანელობდნენ. ისიც იცოდნენ, რომ ტუტკუ სვანეთის 1921 წლის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, რომ საამისოდ თბილისში მყოფი ცენტრიდან დირექტივები და აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერაც მიიღო.

როცა წითელი რუსეთი საქართველოს შემოესია და სოციალიზმის სახელით მისი დამოუკიდებლობა დაამხო, სვანებმა სათემო ყრილობებზე ბჭობა გამართეს და 1921 წლის ბოლოს იარაღს მოჰკიდეს ხელი: ადგილობრივი მილიცია აიღეს, რუსთა მცირე რაზმები, მოხელეები განაიარაღეს, მთელს სვანეთში შემავალი გზები პარტიზანებით გაამაგრეს. ბოლშევიკებმა დიდთოვლობის გამო ყოველმხრივ მოწყვეტილ ამ მხარეში კარგა ხნის მანძილზე ვერ შეძლეს დიდი ჯარით შესვლა და აჯანყების ჩახშობა.

როგორც თავის წიგნში „რუსეთის მობრუნება საქართველოში“ წერს ვლასა მგელაძე, ამ აჯანყებამ გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო საქართველოში. მისი გამოძახილი ევროპასაც მისწვდა და უცხოეთის პრესა აალაპარაკა.

სვანეთის 1921 წლის დეკემბრის ამბებს მოჰყვა ხევსურეთის აჯანყება 1922 წლის ზაფხულში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 101-104, 106-108, 110-112, 114-116, 119-120.

აფხაზეთი - ტკივილი ჩვენი

აფხაზეთის წინააღმდეგობის კომიტეტი მხოლოდ სეპარატისტებს უპირისპირდება

ხელი შეუწყოს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცებაში — ასეთია უპირველესი მიზანი არაპოლიტიკური ორგანიზაცია აფხაზეთის წინააღმდეგობის კომიტეტისა, რომელმაც 14 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში ხელახალი რეგისტრაციით დაკანონა თავისი არსებობა. ჯერ კიდევ აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედების დროს ჩამოყალიბებული ეს მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარეა აფხაზეთის ომის ერთ-ერთი თვალსაჩინო სამხედრო ფიგურა ზურაბ სამუშია, თავისი ამოცანის განხორციელების მთავარ საშუალებად სახალხო დიპლომატიის მშვიდობიან და ცივილიზებულ ფორმას მიიჩნევს, თუმცა, წესდების თანახმად, ნაციონალისტ-სეპარატისტთა უშუალო აგრესიისა და სახელმწიფოებრიობის რღვევის საფრთხის შემთხვევაში, უფლებას იტოვებს სამოქალაქო მოსახლეობაზე დაყრდნობით წამოიწყოს წინააღმდეგობის მოძრაობა.

— წინააღმდეგობის ამგვარი ფორმა არ გულისხმობს რაიმე უკანონო მოქმედებას, — განმარტავს ბატონი ზურაბ სამუშია. — იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დაბრუნებას მშობლიურ მიწაზე, ჟენევის კონვენციის თანახმად, მათ უფლება ენიჭებათ თავად განახორციელონ ამ მიზნით საჭირო ღონისძიებები. თუმცა, ეს ბრძოლის უკიდურესი და უდიდესი რისკის შემცველი ფორმაა. აფხაზეთი ის საკითხია, რომლის გადაწყვეტაში არ შეიძლება არსებობდეს რაიმე დაპირისპირება ქვეყნის ხელისუფლებასა და სხვა რომელიმე ძალას, მათ შორის, ჩვენს, შორის.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის ცნობა

ამ ბოლო დროს სოხუმში იური ვორონოვის მკვლელობასთან დაკავშირებით, საქართველოსა და უცხოეთის საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ სხვადასხვა ინფორმაციებს, რომლებშიც ეგრეთ წოდებული „აფხაზეთის რესპუბლიკის“ უკანონო ხელისუფლების წარმომადგენლებს — კერძოდ, ჯერგენიას უაპელაციოდ მოიხსენიებენ „აფხაზეთის გენერალურ პროკურორად“. აღსანიშნავია, რომ ჯერგენია ჯერ კიდევ 1993 წლიდან საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ გათავისუფლებულია თანამდებობიდან და ამ პოსტზე დანიშნულია ანზორ ლაცუზბაია.

სრული კატეგორიულობით ვაცხადებთ, რომ არსებობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლება და ასევე კანონიერი პროკურატურა და მისი იგნორირება ცალკეული ძალების მიერ არამართლზომიერია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებთან დაკავშირებული ყველა პრობლემური საკითხი უნდა გადაიჭრას აფხაზეთის შესაბამის კანონიერ სტრუქტურებთან — კერძოდ, პროკურატურასთან შეთანხმებით. ეს სტრუქტურები — პროკურატურის ჩათვლით — განაგრძობენ ფუნქციონირებას და დროებით თბილისში იმყოფებიან.

სოხუმში გაიმართა არძინბასთან არსებული, ეგრეთ წოდებული, საზოგადოებრივი საბჭოს პირველი სხდომა

ამას წინათ, სოხუმში გაიმართა ვლადისლავ არძინბასთან არსებული, ეგრეთ წოდებული, საზოგადოებრივი საბჭოს პირველი სხდომა. ეს საბჭო შეიქმნა ხუთი თვის წინათ და აქამდე ვერ მოხერხდა საბჭოს სხდომის გამართვა. საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია ცნობილი აფხაზი მწერალი, სოციალისტური შრომის გმირი ბაგრატ შინკუბა, ადამიანი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ მიაჩნდათ არძინბას მიმართ ოპოზიციურად განწყობილ პიროვნებად. მაგრამ ეტყობა, ეს ასე არ არის.

დღეს, კი შინკუბა და ზოგიერთი სხვა აფხაზი ინტელიგენტი გახდა არძინბას მრჩეველი.

საზოგადოებრივი საბჭოს პირველ სხდომაზე განიხილებოდა კრიმინოგენური და პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში.

გრძელდება არძინბას ქება-დიდება

აფხაზი და ჩრდილოეთ კავკასიელი სეპარატისტები აგრძელებენ არძინბას ქება-დიდებას.

ამას წინათ, მაიკოპში გაიმართა ადიღეს ე. წ. საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის სხდომა, რომელზეც არძინბა აირჩიეს ამ თვითმარქვია აკადემიის საპატიო წევრად.

მაიკოპში არძინბას დასცეს კონდურის პრემია — 500 დოლარი. მუზატ კონდური იყო ჩერქეზული წარმოშობის იორდანელი ლიტერატორი, მისმა შვილმა მუხადინ კონდურმა დააწესა ეს პრემია, რომელიც ნაკლებად ცნობილია საზოგადოებაში.

არძინბას კი ეს პრემია გადაეცა მდინარე გუმისთასთან დაღუპულ აფხაზ ბოევიკთა ხსოვნის ძეგლის ასაშენებლად.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

თენგიზ პაჭკორია,
საქინფორმის კორ.

ულტიმატუმის ვადა გააგრძელეს

კვირას, გვიან ღამით, გაერომ და ნატომ გადაწყვიტეს კიდევ 72 საათით გაეგრძელებინათ ბოსნიელი სერბების პოზიციებზე საჰაერო თავდასხმის მორატორიუმი. ეს ნათქვამია ბოსნია-ჰერცეგოვინაში, გაეროს ჯარების სარდლის, გენერალ ბერნარ ჟანვიეს და ნატოს სამხრეთი ფრონტის სარდლის ადმირალ ლეიტონ სმიტის ერთობლივ განცხადებაში.

წინა ულტიმატუმის ვადის დამთავრებისათვის (მოსკოვის დროით შუაღამე) სერბებმა სარაევოს გარშემო 20 კილომეტრის ზონიდან 300 ერთეული მძიმე შეიარაღებიდან გაიტანეს 160. დანარჩენი გატანილი უნდა იქნეს ადგილობრივი დროით 22 საათისათვის (მოსკოვის დროით 24 საათისათვის).

ოთხშაბათს, ნატოს ავიაციის რეიდებმა სერბთა პოზიციებზე, რომლებიც ორი კვირის წინათ დაიწყო, დიდი ზარალი მიაყენა ბოსნიელი სერბების ჯარებს და მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი გამოიწვია. თუმცა, ბოსნიელ სერბთა ამ განცხადებას ნატოს სარდლობა უარყოფს.

პრეზიდენტ მილოშევიჩის მოწოდება

სერბიის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა, კვირას, ბელგრადში, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მალკოლმ რიფკინდთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ, რაც შეიძლება მალე უნდა შეწყდეს ბოსნია-ჰერცეგოვინაში საომარი მოქმედება.

მილოშევიჩმა მოსთხოვა ნატოს წევრ სახელმწიფოს გარანტიები არ დაუშვან სერბთა ტერიტორიების მიტაცება მუსულმანებისა და ხორვატების მიერ, რომელთა ჯარები კვლავ აგრძელებენ ფართომასშტაბიან შეტევას ბანია-ლუკას მიმართულებით, ყველა გზა სავსეა სერბი ლტოლვილებით, ბანია-ლუკაში უკვე იმყოფება არანაკლებ ასი ათასი ლტოლვილისა. მათი მდგომარეობა უმძიმესია, რამდენადაც სიცოცხლის უზრუნველყოფის კომუნალური სისტემები ნატოს ავიაციის დარტყმებმა მოშალა.

ლობოვი „მრგვალი მაგიდის“ მომხრეა

რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანმა, ჩეჩნეთში პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ოლეგ ლობოვმა, განაცხადა, რომ ჩრდილო-კავკასიის ამ რესპუბლიკის განიარაღების პროცესი წარიმართება ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის გაუმჯობესების პარალელურად, პოლიტიკურ საკითხთა ბლოკის რეალიზაციისათვის, მისი აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნება რესპუბლიკაში „მრგვალი მაგიდის“ შექმნას, ჩეჩნეთში მოქმედი ყველა პარტიისა და მოძრაობის მონაწილეობით. გასული დღე-ღამის განმავლობაში ბოევიკებმა 20-ჯერ დაუშინეს ცეცხლი ფედერალურ ჯარებს.

შამილ ბასაევი იმუქრება

გროზნოში, ყოველკვირეულ გაზეთ „გროზნენსკი რაბოჩისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, შამილ ბასაევმა, განაცხადა, რომ ჩეჩნეთში სრული მშვიდობა და სიმშვიდე არ დამყარდება, ვიდრე თუნდაც, ერთი რუსი ჯარისკაცი დარჩება ჩეჩნეთში, ბასაევი იმუქრება, რომ რუსეთს ასეთ შემთხვევაში, „უდანაშაულო ადამიანთა სისხლის ზღვა მოელის“.

ჩეჩნეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა ლიდერების თათბირზე შეთანხმდნენ, რომ 23 სექტემბერს მოაწყონ წამყვან პოლიტიკურ ძალთა წარმომადგენლების შეხვედრა „ნეიტრალურ ტერიტორიაზე“. „მრგვალ მაგიდაში“ მონაწილეობას მიიღებს 20-მდე პარტია, აგრეთვე, რესპუბლიკის რელიგიური მოღვაწეები. ჩეჩნეთის ყოფილი პარლამენტის დაახლოებით 100 დეპუტატმა (რომლებიც 1991 წელს გარეკა ჩეჩენ სეპარატისტთა ლიდერმა ჯოხარ დუდაევმა), გამოთქვა სურვილი ხელი შეუწყონ ჩეჩნეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას. მათ ხაზი გაუსვეს, რომ უპირველესი ამოცანა იქნება დუდაევის ბოევიკთა სრული განიარაღება.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

ალიძრა „სარჩელი“

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრის ცნობით, საქართველოს რესპუბლიკის სატრანსპორტო პროკურატურამ უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „კოკა-კოლა-კავკასიონის“ მიმართ სარჩელი აღძრა. რესპუბლიკის სატრანსპორტო პროკურატურა მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს დადგენილება რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტისათვის და „ექსიმბანკისათვის“ თანხების ჩამოწერის და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს „კოკა-კოლა-კავკასიონის“ სასარგებლოდ გადახდევინების თაობაზე უკანონოა. იგივე მიიჩნია უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიამ, როცა რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილის მიერ ზედამხედველობის წესით შეტანილი პროტესტის საფუძველზე, 1994 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება 1995 წლის 16 აგვისტოს საქმის ხელახალი განხილვის მიზნით გააუქმა.

რესპუბლიკის სატრანსპორტო პროკურატურას მიაჩნია რომ საქმის არსებითად განხილვის შემდეგ საარბიტრაჟო სასამართლომ „კოკა-კოლა-კავკასიონს“ უნდა დააკისროს 170886 ამერიკული დოლარის უკან დაბრუნება რკინიგზის დეპარტამენტის სასარგებლოდ, ხოლო 86.700,84 ამერიკული დოლარისა — „ექსიმბანკის“ სასარგებლოდ. ასევე ვაგონების მოცდენით მიყენებული ზარალის გადახდა 28.000 ამერიკული დოლარის და 825.000 რუსული რუბლის ოდენობით.

ერთი ჰერაკლე ტყიბულშია? ორჯერ ჰერაკლე — საზანოში

ჭარბად მოგეხსენებათ: ჰერაკლემ ერთი ხარი დაამარცხა და მითოლოგიურ გმირად იქცა.

ხიდისთაველმა (წყალტუბოს ზონა) უჩა მ[illegible]ძემ ჭყვარიხელ (ტყიბულის ზონა) ცირეკა გიორგაძეს 2 სექტემბერს ერთი ხარი ცხვირწინ ისე მოჰპარა, როგორც ლობიდან გამომძვრალი ქათამი.

ეს რომ გაიგო, ვაჟკაცურად ჰერაკლე, გამოუდგა ეპოქიდან და 8 სექტემბერს ზესტაფონის რაიონის ქვედა საზანოში მცხოვრებ ალექსი უკლებას ეზოდან ორი ხარი მოპარა. ამოიჩარა იღლიაში და — კარგად ბრძანდებოდეთ!

აბა, „დაუდგენელი ბოროტმოქმედი“ სხვა ვინ უნდა იყოს?

თბილისის გამოცდილება — ზუგდიდს

თბილისის ბაზრების სასწორები რომ წონის ახალ ეტალონზეა აწყობილი, რომელიც აქამდე აღიარებულ კილოგრამზე საგრძნობლად ნაკლებია, ყველამ იცის. ისიც იციან, რომ ამ წონით გაყიდულ საქონელს ფასი მაინც ძველი კილოგრამისა ადევს!

ახლა ზუგდიდშიც გაიგეს.

8 სექტემბერს აქაურ ბაზარში აქაურმავე ნანული ბარამიამ (ცხოვრობს ქუტალაძის ქუჩის 57-ში) ზუსტად ამ პრინციპით მიუყიდა კლიენტს 8 კილოგრამი და 850 გრამი სულუგუნი, ფულიც ამდენისა გამოართვა. მერე რა, რომ ეს დეფიციტური ხორაგი გაყიდულზე 950 გრამით ნაკლები აღმოჩნდა? სამაგიეროდ, თბილისელ სპეკულანტთა გამოცდილება წარმატებით ვრცელდება საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

გიხაროდეთ.

განხორციელდა მორიგი ოპერატიული ღონისძიება

საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროში აცნობეს, რომ 14 სექტემბერს თბილისის ავტოფარეხებიდან გატაცებული სახელმწიფო ავტომანქანების დაძებნის და ჩამორთმევის მიზნით განხორციელებული ერთობლივი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიების შედეგად გამოავლინეს ოთხი პირი, რომელთაგან ორს აღმოაჩნდა „უაზ-4“ მარკის სახელმწიფო ავტომანქანა, ხოლო ორს — „რაფ-2203“ მარკის ავტომანქანა.

მანქანები გადაეცა შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოს.

მიმდინარეობს გამოძიება.

ჩვენ ნორვეგიელი სტუმრის თვალით

სიტუაცია უთუოდ გამოსწორდება

საქართველოს სტატისტიკური ასოციაციის მიერ მოწყობილ კონფერენციაში, რომელიც ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის აქტუალურ პრობლემატიკას მიეძღვნა, მონაწილეობდა ნორვეგიელი მეცნიერი ნილს ჰიორტი.

ინფორმაცია განსჯისათვის. ოსლოს უნივერსიტეტის 42 წლის პროფესორი ნილს ჰიორტი ამავე სასწავლებლის კურსდამთავრებულია, სტაჟირებას გადიოდა სტანფორდისა (აშშ, კალიფორნია) და ოქსფორდის (ინგლისი) უნივერსიტეტებში. ჰყავს მეუღლე და 14 და 12 წლის ვაჟიშვილები. მაღალი, სპორტული აღნაგობისა, წვერმოშვებული. უცხო ენებიდან კარგად იცის ინგლისური, გერმანული, ფრანგული, შვედური და დანიური, სუსტად — რუსული. თბილისურ პაპანაქებას თავისუფლად ჩაცმული „უპირისპირდებოდა“ — მოკლესახელოებიანი პერანგით, მოკლე შარვლით („შორტები“), შიშველ ფეხებზე საზაფხულო ფეხსაცმლებით...

ბატონ ნილსს სამშობლოში გამგზავრების წინ ვესაუბრე.

— უკვე რამდენიმე დღეა თბილისში ხართ. შეიძლება გულახდილად გვითხრათ რა არ მოგეწონათ ჩვენი და რა მოგეწონათ? ეგებ სხვაგვარად ვთქვათ — გაგვიზიარეთ თქვენი ნეგატიური და პოზიტიური შთაბეჭდილებები.

— აქ ყოფნის პერიოდი, სხვადასხვა ჭრილით განხილული, ერთობ საინტერესო გამოდგა. ვხედავ, როგორ უჭირს ხალხს, შევესწარი კონსტიტუციის მიღების დღეს, იმ დღესაც, როცა შევარდნაძის წინააღმდეგ მოხდა აფეთქება; განცვიფრებული, მეტიც, შოკირებული ვიყავი ასეთი მცდელობით, მაგრამ უფრო იმან გამაკვირვა, რომ ადამიანები არ იყვნენ ისე გაოცებული და შოკირებული; ვიფიქრე კიდეც, — ალბათ მიჩვეული არიან ტერორს-მეთქი.

დადებითად რაც მიმაჩნია, არის ის, რომ თბილისში, ასეთ მძიმე პირობებში, თქვენ ახერხებთ კარგად მუშაობას, პირველ ყოვლისა, მათემატიკის დარგში და ეგებ საერთოდაც.

მომწონს სტუმარ-მასპინძლობის თქვენი ტრადიციები, სტუმრის მიმართ კეთილგანწყობა. ფუნიკულიორს რომ უწოდებთ, იქ ავედით, შეგვაგვიანდა და მემანქანემ, თუმცა სამუშაო დღე დამთავრებული ჰქონდა, მაინც ჩაგვიყვანა.

— უტაქტობა თუ არ გამოდგება, ისიც მინდა გკითხოთ — თქვენს ქვეყანაში ბოლო წლებში მოხდა გახმაურებული ტერორისტული აქტი?

— თანამედროვე ისტორიაში ნორვეგიას არ ჰქონია მსგავსი შემთხვევა.

— მე ვიცი გენიალური მათემატიკოსის ნილს ჰენრიკ აბელის, გამოჩენილი კომპოზიტორის ედვარდ გრიგის, გამოჩენილი მწერლების ჰენრიკ იბსენისა და კნუტ ჰამსუნის, გამოჩენილი მოგზაურების რუალ ამუნდსენის, ფრიტიოფ ნანსენის, ტურ ჰეიერდალის ნორვეგია (მკითხველს გამოვუტყდები, რომ აქ, ცოტა არ იყოს, შევეცადე თავის მოწონებას დიდ ნორვეგიელთა სახელების ცოდნით — თ. ე.). ჰეიერდალი, სხვათა შორის, თბილისში ნამყოფია; მახსოვს, უნივერსიტეტში როგორ თბილად შევხვდით...

ნორვეგიელებმა როგორი საქართველო იციან?

— განათლებულ ნორვეგიელს რომ გააჩეროთ, იმას ეცოდინება სად არის საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი; რა სიძნელეებია კავკასიის რეგიონში; თქვენი მწვავე კონფლიქტების შესახებ ეცოდინება, ლტოლვილების შესახებ. განათლებული ნორვეგიელი გეტყვით, რომ საქართველოში მწერლობისა და სიმღერის შესანიშნავი ტრადიციებია, გაიხსენებს ანსამბლ „რუსთავის“ სტუმრობას ოსლოში, ქალბატონ ლიანა ისაკაძის კამერული ორკესტრის კონცერტებს. საქართველოში კარგი ფეხბურთიაო, დასძენს... ჰეიერდალი კი თავს მშვენივრად გრძნობს, ახლა 80 წლისაა.

ბატონმა ნილს ჰიორტმა კეთილი სურვილის გამოთქმით მოინდომა საუბრის დასრულება:

— ვხედავ რა მძიმე სიტუაციაში ხართ, მსმენია, როგორი ზამთარი გადაიტანეთ და მაინც მგონია, რომ საიმედო მომავალი გექნებათ, რომ სიძნელეებს დაძლევთ და სიტუაცია უთუოდ გამოსწორდება.

თამაზ ებანოიძე.

აუცილებელი განმარტება

თბილისელ მოქალაქეს უარი ვუთხრათ პასპორტზე?

18 სექტემბერს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ „ეროვნული პასპორტი — საქართველოს სახელმწიფოებრიობის ნიშანი“. აღნიშნულ პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ „საოცარი რამ ხდება, ქალაქ თბილისის საპასპორტო-სავიზო განყოფილების ფუნქციაში აქტიურად იჭრება შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო და სავიზო სამმართველო“. მხედველობაში აქვთ ის, თუ რატომ არ აძლევს თბილისელებს პასპორტს აღნიშნული სამმართველო. ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო და ვიზების ბიუროს უფროსს ოთარ ბონაძეს განემარტა, აქვთ თუ არა მათ უფლება დააკმაყოფილონ თბილისელთა მოთხოვნა პასპორტის მიღების თაობაზე.

— ბატონო ოთარ, ამას წინათ ჩვენს მიერ მომზადებულ მასალაში ვსაუბრეთ საპასპორტო პრობლემის თაობაზე. ამ ინტერვიუში კი სრულიად განსხვავებული აზრია გამოთქმული. რას გვეტყოდით?

— უწინარესად, არაკორექტულია ის, რომ თურმე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველო, რომელსაც ექვემდებარება ქალაქის საპასპორტო-სავიზო განყოფილება, „ერევა“ მის ფუნქციებში. არადა, ჩვენს ფუნქციებში შედის არა მარტო ჩარევა, არამედ მათი მუშაობის კონტროლიც. ამიტომ, არანაირ პარალელიზმზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. რაც შეეხება ინტერვიუში გამოთქმულ „ბრალდებას“, რომ ჩვენი სამმართველო გასცემს პასპორტებს თბილისელ მოქალაქეებზე, არც ერთ ჩვენზე ზემდგომ ორგანოს დოკუმენტით ეს აკრძალული არ არის. ინტერვიუში გატარებული აზრი იმის შესახებ, რომ ქალაქის საპასპორტო-სავიზო განყოფილების მოთხოვნა დაკავშირებულია დედაქალაქის მოსახლეობის აღწერასთან, ბიუჯეტთან და ვაუჩერიზაციასთან, უბრალოდ, საქმესთან ახლოსაც კი არ არის. ეს სამსახურები არავითარ შემთხვევაში ხელს არ უშლიან ერთმანეთს. ვინაიდან, ყველა მონაცემი თბილისის მოქალაქეებზე, რომლებმაც მიიღეს პასპორტი შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო სავიზო ბიუროში, გადაეცემა ქალაქ თბილისის საპასპორტო სავიზო განყოფილებას კომპიუტერით, იმათი კი — ჩვენ. ასე რომ, გაუგებრობა გამორიცხულია. ვფიქრობთ, რომ სწორი არ იქნება ჩვენთან მოსული მოქალაქე უარით გავისტუმროთ იმ მოტივით, რომ ჩვენ რატომღაც არა გვაქვს უფლება მათზე გავცეთ პასპორტი.

აღნიშნულ ინტერვიუში ნათქვამია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი გარდა 35 დოლარისა, რომელიც პასპორტის ღირებულებაა, თხოულობს მოქალაქის ანკეტის შესამოწმებლად 3 დოლარს, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. საქმე ისაა, რომ საპასპორტო-სავიზო ბიურო ოფიციალურად უგზავნის შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრს აღნიშნულ ანკეტებს და სრულიად უფასოდ ხუთი დღის ვადაში იღებს პასუხს. მაგრამ, თუ მოქალაქეს სურს პასპორტის მიღება იმავე ან მეორე დღეს, თანახმად მინისტრთა კაბინეტის დადგენილებისა, მას აქვს უფლება თვითონ მივიდეს საინფორმაციო ცენტრში და შეამოწმოს ანკეტა იმავე დღეს. აი, სწორედ ამისათვის იხდის იგი 3 დოლარს.

ნურც ის დაგვავიწყდება, რომ თბილისში არალეგალურად, აღრიცხვის გარეშე ჩამოტანილ პასპორტებს, ყოფილი სსრკ-ს სიმბოლიკით ეს განყოფილება მასობრივად ამოწმებდა ბეჭდით. ეს და სხვა ცნობილი დარღვევები, რამაც თავის დროზე მკვეთრად შელახა ჩვენი რესპუბლიკის პრესტიჟი, თუ რესპონდენტს პატრიოტიზმად მიაჩნია, მაშინ მე სათქმელი აღარაფერი მაქვს და კომენტარიც ზედმეტია.

გულიკო მარკოზაშვილი,
საქინფორმის კორ.

იმდენს გატირებს სოფელი რამდენიც გაგიცინია

ამას თვითონ მიგიხვდება ჩემი ქუთაისი

ელდარი

„ბუტილკა“ შარვალი ქუთაისში პირველად სწორედ მან ჩაიცვა. სუფთად წვერგაპარსული, კოხტად გადავარცხნილი ბრიოლინით აპრიალებული თმებით, მაღალყანჩიანი ფეხსაცმელებით და ტანზე კარგად მორგებული პერანგით მიმოდიოდა ქალაქში მუდამ გამოწკეპილი ელდარ დათიაშვილი — ტანდაბალი, ჩია ახალგაზრდა — ხშირად ტრიალებდა სპორტულ წრეებში, — მეგობრობდა ტანმოვარჯიშეებთან, მოკრივეებთან, ძალოსნებთან. ალბათ იმიტომაც, რომ ძალ-ღონის დეფიციტს განიცდიდა. იცოდნენ რა სიმაღლისა და სისწრაფისადმი მისი თანდაყოლილი შიში, ბიჭებმა არაერთი გამოცდა მოუწყვს ქუთაისელ „სტილიაგას“.

ერთხელ იუმორით და ჟანლონით სავსე ავთო ალფაიძემ შეიპირა ჩემი სიძე — მამია ღლონტი (სტუდენტობაში მოკრივე და „ლელობურთის“ მოთამაშე, ავტომოტოსაქმის დიდი მოყვარული), რომ თუ მოტოციკლზე შემოსვამდნენ ელდარ დათიაშვილს, კარგა ხანს დიდი სიჩქარით ატარებინა იგი ახლო-მახლო ქუჩებში.

როგორღაც, სერიოზული საბაბით, ელდარი მართლაც შემოუსვეს ჩვენს მოტომოჯირითეს... და მოეცათ ლხენა — უკვე სამ წუთში გაისმა საშინელი გრუხუნი და მიტკალივით გათეთრებული ელდარის ხმამ ჩაგვიჭროლა.

ახლაც ყურებში მიდგას განწირულის ხმა: გააჩერე! გააჩერე!!!

• • •

ბიჭები მოელაპარაკნენ ავტოტრანსპორტის მძღოლს (ფულიც აჩუქეს), ამადა ამ დროს თეატრთან ასეთი და ასეთი ახალგაზრდა იდგება, შენც გაიარე და წყლის ჭავლი მიუშვიო.

მამაცხონებულმა კი არ გაიარა, ელდარის გვერდით შეაჩერა მანქანა და...

იმ დღის ელდარი აღარ წავიდა დაგეგმილ „ღონისძიებაზე“ — ქეიფი მის გარეშე ჩატარდა.

გენადი

ფაშისტურ გერმანიასთან ომის პერიოდში ქუთაისმა მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან გამოქცეული მრავალი ლტოლვილი მიიღო. ერთი ასეთი ოჯახი, რომლის თავი, მფრინავი-ავიაგამანადგურებელი ბრძოლაში დაღუპულიყო, ჩემს მეზობლად, ექიმ ბალავაძის სახლის ერთ ოთახში შეიკედლეს.

ტიურინების ბიჭი, გენადი, ორი-სამი წლით ჩემზე უფროსი, თვითმფრინავების მაკეტების გამოთლა-გამოჩარხვით იყო გატაცებული, აგროვებდა საფოსტო მარკების კოლექციას, სულ წიგნში იყურებოდა და თან ქართულს სწრაფად ითვისებდა.

ბავშვობით უბნის ბიჭებთან ერთად ბანაობდა რიონში, მალე ისწავლა „ქუთაისური“ სტილით ცურვა, რიონგაღმა გასვლა და ცხელ ქვებზე ჩვენებური მზის „აბაზანების“ მიღება.

დედა, მარუსია სახლში ჯარასავით ტრიალებდა, „ბაწიკას“ ოჯახს გულდაგულ უვლიდა, მეზობლებისთვისაც აძლევდა ხელის წაშველებას, „თავისუფალ დროს“ კი თვალცრემლიანი შეჰყურებდა „პილოტკაში“ გადაღებული მფრინავის ფოტოს, რომელიც შავი ჩარჩოდან გვიღიმოდა.

გენადიმ ჩემზე სამი წლით ადრე დაამთავრა სკოლა, მოსკოვს გაემგზავრა და უმაღლესში მისაღები გამოცდები ხუთებზე ჩააბარა.

32 წლის ასაკში გენადი ტიურინი უკვე მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის პროფესორი გახლდათ.

ჩახნია

„მცირე ბიზნესის“ პიონერები საქართველოში, ებრაელებია, 50-ანი წლების ქუთაისში გვყავდნენ. ისინი ძირითადად რუსეთის მსხვილი ქალაქებიდან ეზიდებოდნენ ფართო მოხმარების საქონელს და სინაგოგასთან სარფიანად ვაჭრობდნენ. მათ შორის იყო 140 სანტიმეტრამდე სიმაღლის, ერთობ შეუხედავი, მაგრამ ვერცხლისწყალივით მოძრავი და მარიფათიანი ჩახნია. ბიჭებს მისი რუსეთში „მოღვაწეობის“ სულ სხვა სფერო აინტერესებდათ და ხშირად ეკითხებოდნენ, სარგებლობდა თუ არა იგი წარმატებით სუსტი სქესის წარმომადგენელთა შორის.

— რატომაც არა! — ტრაბახობდა ჩახნია. — იცით, ჩემზე რას ამბობდნენ ქალები? Невысокий, некрасивый, зато симпатичный грузин-о.

ერთხელ ჩვენი ბიზნესმენი რუსეთში კომპანიონთან ერთად მორიგი ვოიაჟიდან ეულად დაბრუნდა, პარტნიორის ცოლს ოპერატიულად შეატყობინა, რომ მისი ქმარი მოსკოვში უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა.

— მაღალი შენობის ქვეშ ვიდიოდით, უეცრად რეკლამის უზარმაზარი ასოები ჩამოცვივდა და თავზე დაგვეცაო.

— შენ როგორღა გადარჩი ცოცხალი? — ჰკითხა გულმკვდარმა ქვრივმა.

— მე, ქალბატონო, მიაგკი ზნაკი დამეცა, — ახსნა ჩახნიამ.

უწყების პასუხად

ფერშალ ქვრივიაშვილის ოჯახს მიუტანეს ქუთაისის სამხედრო კომისრის დოლაბერიძის მიერ ხელმოწერილი უწყება, რომლითაც სავალდებულო სამხედრო სამსახურში „ეპატიჟებოდნენ“ შვილს, რომიკოს. მოგეხსენებათ, არგამოცხადებას რა სასჯელიც მოჰყვებოდა მაშინ და, რაღას იზამდნენ, ქვრივიაშვილები დილით კომისარიატში მთელი ოჯახით მობრძანდნენ..

— ვინ წაიყვანს ამას ჯარში! — მთელი ხმით, ისე, რომ დოლაბერიძეს გაეგონა, ეკითხებოდნენ იქ თავშეყრილებს, —ვინ წაიყვანს ჩვენს სახლიდან საბჭოთა არმიაში ამ ჩიხოტკიან, ჭლექიან ინვალიდს? ეს რომ ჯარში მოხვდეს, მთელ პოლკს ამოწყვეტს...

ანზორ ბასილაია.

ჩოგანი

ხალიჩის ქართველ ოსტატთა წარმატება

ერთ დროს ფილა-ს კალენდარში შეტანილი ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ხანმოკლე კრიზისის შემდეგ კვლავ იბრუნებს მაღალ რეპუტაციას. ამის დასტურად თბილისის სპორტის სასახლეში კვირას დასრულებული მორიგი ასპარეზობა გამოგვადგება, რომელშიც 6 ქვეყნის 110-მა ფალავანმა მიიღო მონაწილეობა.

სასიამოვნოა, რომ აშკარად გამოიკვეთა მასპინძელთა უპირატესობა. მათ 7 ოქროს მედალი მოიპოვეს. თავ-თავიანთ წონით კატეგორიებში ყველას აჯობეს დავით ბარამაშვილმა, ნუგზარ პატურაშვილმა, დავით პოლოსიანმა, ზურაბ ლოლაშვილმა, ელდარ კურტანიძემ, დავით ხურციამ და გია ლოლაძემ. სტუმართაგან თავი გამოიჩინეს აზერბაიჯანელმა ისმაილოვმა და სომხეთის ნაკრების წევრებმა — მარქარიანმა და ვარდანიანმა.

ამინდი

19 სექტემბერს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, იქროლებს წამში 7-12 მეტრი სიჩქარის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — ბარში ღამით 12-17, დღისით 21-26, მთაში — ღამით 9-14, დღისით 17-22, მაღალ მთაში — ღამით 5-10, დღისით 13-18 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში იქნება ხანმოკლე წვიმა, ელჭექით, იქროლებს წამში 9-14, ზოგან 17-22 მეტრი სიჩქარის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — ბარში ღამით 13-18, დღისით 23-28, მთაში — ღამით 8-13, დღისით 18-23, მაღალ მთაში — 4-9, დღისით 15-20 გრადუსი სითბო.

თბილისში მშრალი ამინდია მოსალოდნელი, იქროლებს წამში 9-14, ქალაქის გარეუბნებში 17-22 მეტრი სიჩქარის ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — ღამით 16-18, დღისით 26-28 გრადუსი სითბო.

• • •

დღეს, 19 სექტემბერს მაგნიტური დღეა, კრიტიკული საათი — 16.00-17.00.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სახელმწიფო პრემიების კომიტეტი აგრძელებს ნაშრომების მიღებას 1996 წლის პრემიების მოსაპოვებლად.

ნაშრომების წარმოდგენის ვადაა 1995 წლის 31 ოქტომბრამდე, შემდეგ მისამართზე: 380008, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 52, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, მეხუთე სართული, ოთახი 525, ტელ.: 99-98-29, 98-88-72, 14 საათიდან 17 საათსა და 45 წუთამდე.

აქვე შეგიძლიათ მიიღოთ ცნობები პრემიის მოსაპოვებლად ნაშრომების წარდგენისა და გაფორმების შესახებ.

მანუალური თერაპიის, ბიოენერგოთერაპიის და მასაჟის სპეციალისტი **ცისო ბოლქვაძე**

მკურნალობს რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, ალერგიას, ბრონქიალურ ასთმას და სხვა დაავადებებს.

ნერვულ სტრესებს, შიშებს და მოჩვენებებს **არჩენს ერთი სეანსით.**

მიღება ყოველდღე (კვირის გარდა) 12-დან 18 საათამდე.

მისამართი: თბილისი, ამაღლების (ყოფილი დავითაშვილის) ქუჩა № 1.

თბილისის ავეჯის სახლი სს „კომფორტი“

აწარმოებს სახელმწიფო და კერძო საწარმოებიდან, აგრეთვე მოსახლისაგან ავეჯის, ხალიჩების, მაცივრების, ელექტრო და მუსიკალური ინსტრუმენტების, სანტექნიკის მოწყობილობის ყიდვა-რეალიზაციას როგორც სახელშეკრულებო, ასევე საკომისიო წესით. ანგარიშსწორება — შეთანხმებით.

ამ და სხვა საკითხებზე შეგიძლიათ მიმართოთ ავეჯის სახლის საშუამავლო ბიუროს მთავარ სპეციალისტს.

ჩვენი ტელეფონებია: 51-36-32; 51-36-62; 51-30-38. საღამოს — 37-30-04.

მინა

- ● 3, 4, 5 მმ-იანი;
- ● საკონტრაქტო და საბითუმო მიწოდება 40 % ფასდაკლებით. მინიმალური პარტია 500 კვ.მ.;
- ● მოსახლეობის მომსახურება: შემდეგ მისამართებზე:

— პ. ქავთარაძის 1/4 (ყოფ. პავლოვის ქუჩის ბოლოში);

— ქ. წამებულის 94 (მეტრო „ისანთან“).

ტელ.: 74-63-63.

შპს „წიფლიანი“

დაგეხმარებათ საზღვაო ტრანსპორტით **ბათუმის პორტიდან რუსეთის ტერიტორიაზე და უკუმიმართულებით** კომერციული ტვირთების გადაზიდვებში, რუსეთის ტერიტორიაზე **საბაჟო პროცედურების შესრულებაში.**

დაწვრილებითი ცნობებისათვის **მოგვმართეთ: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. № 18. ტელეფონი: 2-15-86.**

მოჯადოებული წრე

დღეს საქართველოში ხალხს რომ უჭირს, ამაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა. თქმულა და დაწერილა იმის თაობაზეც, რომ ვისაც ეს ხელეწიფება, ყველაფერს უნდა აკეთებდეს ხალხის ამ უკიდურესად მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებისათვის. მაგრამ საქმე იქამდე მივიდა, რომ ივლისის გამტანჯველ სიცხეში თბილისისა და მისი შემოგარენის მოსახლეობის დიდი ჯგუფი სახელმწიფოს მეთაურს ეახლა, ტრასებზე მოთარეშე შეიარაღებულ პირთაგან შეწუხებულნი, შეძრწუნებულნი, სულშეხუთულნი, საჩივარს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება მოჰყვა. მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ რაკი ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან სხვა რაიონებიდან არ მისულან, თითქოს სხვას (ნეტამც ასე იყოს) ულხინდეს.

საუბედუროდ, განკარგულებაში ასახული რეალური მდგომარეობა მეტნაკლებად იდენტურია რესპუბლიკის სხვა რაიონებისთვისაც. უნდა ითქვას, რომ სასიკეთო ძვრებს, რომლებიც ტრასებზე მოხდა და მათზე დღე-ღამიანად უსაფრთხო მოძრაობაა, ახლავს საგზაო პოლიციის მუშაკთა ერთი ნაწილის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ისედაც გაწამებული, სიდუხჭირეში მყოფი ადამიანების მიმართ. როგორც იტყვიან, მიზეზები არ ელევათ, ხან ლიცენზიას მოითხოვენ, ხან რა და ხან რა მიზეზსა თუ საბაბს გამონახავენ. იმას როდი ვამბობ, საგზაო პოლიციის მუშაკებმა წესრიგის დამყარებისთვის არ იზრუნონ-მეთქი, მაგრამ მოთხოვნები მართლაც წესრიგის დამყარებას უნდა ემსახურებოდეს და არა ანგარებას. ე. წ. „შოფრული სინდრომი“ (რაკი გაგაჩერეს, ფული უნდა მისცე!) ძვირი ჯდება...

როგორც ცნობილია, არსებობს მინისტრთა კაბინეტის დადგენილება რესპუბლიკაში ავტოტრანსპორტის ლიცენზირების შესახებ, რომელმაც ბევრი უხერხულობა შექმნა. ესა თუ ის ორგანიზაცია თავისი ტვირთის გადასატანად თავის სატვირთო ავტომანქანას გზავნის საგზურით, მას კი მაინც ლიცენზიას სთხოვენ! უქონლობისას ადმინისტრაციულ ოქმს უდგენენ. ამას შელა-შემოხლა მოჰყვება ხოლმე და ბოლოს ირკვევა: საგზაო პოლიციის ქმედება ამ შემთხვევაში არასწორი ყოფილა. ზოგჯერ ეს გამიზნული ქმედებაა, მაგრამ, არცთუ იშვიათად, საგზაო პოლიციის მუშაკები თავად არ არიან გარკვეული, სრულყოფილად ინფორმირებული ამ დადგენილების არსში, სამწუხაროდ, არც ზემდგომ ორგანოებს აქვთ ყველაფერი სრულყოფილად გაცნობიერებული.. თქვენ წარმოიდგინეთ, სასამართლოებიც კი არ თუ ვერ ღებულობენ საჭირო დოკუმენტებს კანონის შესაბამისად სასჯელის განსახორციელებლად. ასეთ შემთხვევაში რა გასაკვირია, რომ რიგითი პოლიციელი, მით უფრო მოქალაქე, არ იყოს გარკვეული საკუთარ უფლება-მოვალეობებში, ისიც დღევანდელ ინფორმაციის ვაკუუმის პირობებში.

ამ რამდენიმე დღის წინათ კვლავ გამოქვეყნდა მინისტრთა კაბინეტის დადგენილება, რომელშიც აქცენტი გადატანილია სამგზავრო ავტობუსებისა და ავტოსადგურების ლიცენზირებაზე. ეს მართლაც საშური და აუცილებელი საქმეა: უნდა აღდგეს წესრიგი სამგზავრო გადაყვანების აღრიცხვაში, ისე როგორც ადრე იყო, არსებობდეს ბილეთი და მოისპოს აღურიცხაობის ხელშემწყობი ქაღალდის ნაგლეჯები. დადგენილებაში ნახსენებია სატვირთო გადაზიდვებიც, მაგრამ მასზე კონკრეტულად არაფერია ნათქვამი, მაშინ, როცა სატვირთო ავტომანქანების ლიცენზირების საქმეში მრავალი გაურკვევლობა, უფრო მეტიც — უცნაურობაა. თვითონ განსაჯეთ: ლიცენზია სჭირდება კერძო მფლობელობაში მყოფ სატვირთო ავტომანქანასაც, რითაც იქმნება ბარიერი ავტომფლობელისათვის, რომელმაც ათობით, ზოგჯერ ასობით კილომეტრი უნდა გაიაროს ლიცენზიის მისაღებად, მაგალითად, სუფსიდან უნდა ჩავიდეს ლანჩხუთში, შეიძლება ოზურგეთში და თბილისშიც კი დასჭირდეს ჩასვლა. ზოგჯერ ეს ყველაფერი, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, შეიძლება უშედეგოდაც დამთავრდეს. არადა, ამ მიმოსვლას თანხა და დრო სჭირდება. იბადება კითხვა: რისთვის შეიძინა მოქალაქემ კერძო მფლობელობაში სატვირთო ავტომანქანა, თუკი თავისი ტვირთის გადატანის უფლება არ ექნება? სხვას თუ ემსახურება და შემოსავალს ღებულობს, ამისთვის ხომ პატენტი არსებობს, რომელსაც სასამართლოში რეგისტრაციის შემდეგ საგადასახადო ინსპექციიდან იღებს!

ერთად უნდა ვეჭიდოთ

სწორედ ამიტომ არის, რომ ირღვევა საგადასახადო კანონი: არცთუ იშვიათად, ლიცენზია მძღოლებს პატენტის გარეშე ეძლევა, და საერთოდ, თუ კაცს პატენტი აქვს, ეს ხომ უკვე ავტოგადაზიდვებზე მომსახურების ნებართვაა! კიდევ რაღას ვართულებთ?

ერთიც: როგორც განმიმარტეს, თუ კერძო ავტომანქანის მფლობელს საკუთარი ტვირთი გადააქვს, მას ლიცენზია არ სჭირდება, უფრო სწორად, ეძლევა უფასო ლიცენზია (ისე, ამასაც ხომ უნდა აღება, მისვლა, დროს დახარჯვა). მაგრამ საინტერესოა, რით ამტკიცოს ავტომანქანის მფლობელმა, შეშა თბილისში შვილებისთვის მიმაქვს და არა გასაყიდადო, მით უფრო, თუ საგუშაგოზე საგზაო პოლიციის ისეთი თანამშრომელი დახვდება, როგორიც ბატონი შაქრო ჯეჯელავა ბრძანდება, ამ რამდენიმე ხნის წინათ საგზაო პოლიციის მალთაყვის საგუშაგოზე ავტომანქანა „ნივის“ მფლობელს, რომელსაც ორი ტომარა შაქარი ედო საბარგულში (ერთი თავისი, მეორე თანამგზავრი მეგობრისა), საბუთი რომ მოსთხოვა, სად შეიძინეთო. შეეცადნენ პოლიციელისთვის აეხსნათ, რომ ბაზარში ამ ცნობას არავინ იძლევა, მაგრამ — ამაოდ, აყვირდა, ახლავე გადაგიყრით წყალშიო. არ უშველა ახსნა-განმარტებამ („ნივის“ მფლობელი ერთ-ერთი რაიონის არჩევითი ორგანოს ხელმძღვანელი იყო), პატიოსანი ხალხი ვართ, არ მოგვეპარავს, როგორც სხვებმა, ოჯახისთვის შევიძინეთო. ადვილი წარმოსადგენია, სატვირთო მანქანით რომ ყოფილიყვნენ და 2 ან 20 ტონა ჰქონოდათ, მაშინ რა მოხდებოდა. ალბათ დაიწყებოდა „ვაჭრობა“, თუ მორიგდებოდნენ, ხომ კარგი, თუ არა და...

ამ ფაქტზე ავტომანქანა „ნივის“ მფლობელმა განცხადება შეიტანა ქ. ფოთის შესაბამის ორგანოებში, მიმდინარეობს გამოძიება. მაგრამ ამით ეშველება საქმეს? არა მგონია ეშველოს (მიუხედავად ზმისა, რომ გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ), ვიდრე სიტყვით კი არა, საქმით არ აიკრძალება ავტომანქანების წამდაუწუმ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაჩერება, ისე როგორც ეს ხდება განსაკუთრებით ბათუმიდან სამტრედიამდე, რაც მგზავრსაც აწუხებს და მძღოლსაც.

არადა, შეუძლებელი არაფერია. ამის მაგალითია ბატონ თემურ მაშიაშვილის საქმიანობა, რომელიც ყველა სამსახურიდან მკაცრად ითხოვს თავისი კონკრეტული საქმის შესრულებას: პოლიციისგან — პოლიციისას, საგადასახადო ინსპექციიდან — საგადასახადო ინსპექციისას, საგზაო პოლიციისგან — საგზაო პოლიციისას და ა. შ. მკაცრად კონტროლდება მათგან თავიანთი უფლება-მოვალეობების დაცვა. იქნებ შემედავონ, სამტრედიაც ხომ იმერეთის მხარეაო. კი ბატონო, მაგრამ როგორც განმიმარტეს, იქ „საგანგებო“ წესები მოქმედებს. ვნახოთ სულ ეს წესები ხომ არ იქნება?

დაბოლოს: მსუბუქი ავტომანქანის მფლობელმა რომ 500 ბოთლი კონიაკი ან შამპანური გადაიტანოს თუნდაც კომერციული მოსაზრებით, მას ლიცენზია არ სჭირდება, მაგრამ იმავე პიროვნებამ თუ ეს ტვირთი საკუთარი სატვირთო ავტომანქანით გადაიტანა, ამისათვის ლიცენზიაა საჭირო. ამასთან აუცილებლად ითხოვენ მძღოლისა და სატვირთო ავტომანქანის დაზღვევას...

საერთოდ, უმჯობესია ან პატენტი არსებობდეს ან ლიცენზია. უფრო უპრიანია არსებობდეს მხოლოდ პატენტი და მინისტრთა კაბინეტმა არ მიიღოს ამგვარი „საძრომიანი“ დადგენილებები, მით უფრო, რომ იგი არ დაიყვანება მოქალაქეებამდე და მავანსა და მავანს ხელს უწყობს უკანონობის, უწესრიგობის დამკვიდრებაში, ქმნის მოჯადოებულ წრეს.

სასურველია სხვადასხვა უწყებამ, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ავტოტრანსპორტის დეპარტამენტმა, რადიოტელევიზიით, პრესით სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდონ მოქალაქეებს ამ და სხვა საკითხებზე, რათა ყველა დაზღვეული იყოს გაუგებრობებისგან.

ბადრი კუტალაშვილი,
„სრ“ საკ. კორ.

საქართველოს პარლამენტი თანაგრძნობას უცხადებს პარლამენტის წევრს ზურაბ შენგელიას დედის

ოლიკო გოგირახაშვილი-შენგელიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პარლამენტის აპარატი იუწყება, რომ გარდაიცვალა პარლამენტის აპარატის სახელმწიფო მრჩევლის ზურაბ ჟვანიას მამა

ვახტანგ ჟვანია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საინფორმაციო სააგენტო საქინფორმის კოლექტივი თანაუგრძნობს ფოტოკორესპონდენტს ბონდო დვალიშვილს დედის

თამარ კაპანაძე-დვალიშვილის

გარდაცვალების გამო.

მორიგე რედაქტორი **არმაზ სანებლიძე.**

გამომცემელი - შპს „პრესა“

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66484, ტელ.: 99-73-34.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.